№ 2781
პარასკევი,
25 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2781
პარასკევი,
25 მარტი

ხელის-მოწერის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

დღესასწაულისა გამო „ცნობის ფურცლის" შემდეგი №-ი გამოვა კვირას, 27 მარტს.

თავადი მიხეილ დავითის ძე წულუკიძე და დები მისი: მარიამ კორძაიასა, ნინა ქიქოძისა, ევგენია ნიჟარაძისა, ოლღა ნიკოლაძისა და ეკატერინა ფურცელაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და პატივისმცემელთ გარდაცვალებას საყვარლის მამის

თ. დავით სიმონის ძის წულუკიძისას,

რომლის დასაფლავება დანიშნულია ქ. ბათუმში 27 ამა თვეს, დილით ცხრა საათზედ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოობით 6 საათზე ოლგას ქუჩა ხაჯიმიროვის სახლი. (1—127—1)

ქუთაისში გახსნილია **იაფი ვაჭრობა**
ყოველ გვარ საწერ და საკანცელარიო ნივთებისა
სავაჭრო სახლი **ი. გოკიელოვის შვილები**
(10—ნკ—2)

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულის **მიხეილ გრიგოლის ძის ძნელაძისა** გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ და საზოგადო დაწესებულებებს, რომელთაც პატივი სცეს და მონაწილეობა მიიღეს მათ მწუხარებაში. (1—125—1)

პარასკევს, 25 მარტისთვის, დილის 10 საათზე, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია პირველი **საზოგადო კრება კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა.**

იმათ, ვისაც საზოგადოების წევრობა სურს, შეუძლიანთ ჩაეწერნენ ს. კ. მიხაილოვთან („ტფილ. ლისტ."-ის რედაქცია), ა. გ. ჯაბადართან („ცნ. ფურ." რედაქცია) და რ. ა. იოანესიანთან (ქალაქის საკრ. საზოგადოება); აგრეთვე კრების დღეს საბჭოს დარბაზის შესავალში.

სასტოლრო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა

იღებს შემოკვეთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—4)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა"-სთან

იყიდება: **ნერგები** დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბუღლისა (თუთისა). **თესლეულობა—აბრეშუმისა** (თეთრი და ყვითელი), **ბამბისა, ბოსტნეულისა,** და სხვა. შამბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6.—6)

ნამდვილი ცელულიარული
✦თესლი აბრეშუმისა✦
ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა
ა. კ. ზახარიადისა.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პახალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვს ჩემგან მიიღონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—19)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
წლიური კრება

დანიშნულია პარასკევისთვის, 25 მარტს დილის 10 საათზედ საამხანაგო ქარხანაში, ელისაბედის ქუჩა, № 25, სასტუმრო „ვერსალი"-ს პირდაპირ. (2—2)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
აავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.

მ. ა. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

ნ. ი. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ი. დ. ლაჟავაძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ძ. მ. მაჯაგეტოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.

ღ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.

ქალი ე. ძ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. ელიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

ს ა ღ ა მ ო ს:

ხ. ა. გაწაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სააკადმყოფოთვის აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 84 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (307—28—1)

სამეურნეო ბანკის

წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, 27 მარტს, დილის თერთმეტ საათზე, ბანკისავე დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1. რჩევის მოხსენება წლიურის ანგარიშის შესახებ; 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3. წლიური ანგარიში; 4. მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 5. პროექტი წესდების 48-ე მუხლის შეცვლისა; 6. გამგეობის თავმჯდომარის არჩევანი, გ. ს. განზიელის მაგიერ, რომელსაც ვადა გაუთავდა; არჩევანი რჩევის ორი წევრისა, ი. გ. თულაშვილის მაგიერ, რომელიც გარდაიცვალა, და თავ. ნ. ბ. ერისთავის მაგიერ, რომელსაც ვადა გაუვიდა; არჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. (1—1)

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია", გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო

„გრანდ-ოტელი"

შუა ქალაქში, ფოსტის და ვაგზლის ახლოს. შენობა სრულიად გასწორებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, საოჯახო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ თბილი და ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზეა. (15—ბკ.—9)

ექიმი
ა. ნ. ღიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახელობის თეატრის პირდაპირ № 18. (60—28—44)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.

მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკლესიის პირდაპირ, ტელეფ. 729. (30—91—17)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—42)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
23 მარტი

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა სამხედრო მინისტრის სახელზე 1905 წ. 23 მარტის თარიღით: „მოვიდა წითელ ჯვრის რწმუნებული გუჩკოვი და მასთან ერთად მოწყალეების 4 და, 20 კაცი საექიმო პერსონალისა და 65 სანიტარი. რწმუნებულმა გუჩკოვმა სთქვა, რომ მუკდენში დარჩენილი მოწყალების 20 და, 30 ექიმი და 150 სანიტარი იაპონელები დალნის გზით ჩიფუში გაგზავნეს, რათა იქიდან ყველანი ზღვით გაამგზავრონ რუსეთშიო. გუჩკოვმა მომახსენა, მუკდენში დავტოვე დაჭრილები, გენ.-მაიორი გორბატოვსკი, 36 აფიცერი, ერთი ექიმი და 164 ობრალო ჯარის-კაცი. ბრძოლის ველიდან მუკდენის გოსპიტალში დაჭრილები მოჰყავდათ როგორც ჩვენს, აგრეთვე იაპონელთ სანიტარებს. გუჩკოვმა მომახსენა აგრეთვე, იაპონელები როგორც ჩვენს ექიმებს, მოწყალების დებს და სანიტარებს, აგრეთვე დაჭრილებს და ავადმყოფებს ალერსიანად ექცეოდნენ და არავითარი წყენა ანუ შევიწროება არავისთვის არ მიუყენებიათო.

პარიზი. გაზეთ „მატენ"-მა კუანჩენზიდან დეპეშა მიიღო, რომელშიაც იუწყებიან ოკუ ამ ჟამად მუკდენში იმყოფებაო. იაპონელთ ჯარები დაღლილი არიან და ცოტა ხნით უნდა შეისვენონ. ექიმებთან ლაპარაკის დროს იაპონელები მხურვალე სურვილს აცხადებენ ომის გათავებაზე. ახალ პოზიციებზე ძლიერ აცივდა.

ტოკიო. საერთო აზრი ასეთია, რომ რუსები სუნგარიდან უკან დახევამდე წინააღმდეგობას გაუწევენ იაპონელებს გირინ-ჩან-ჩუნის გზაზე. იუწყებიან, რომ ამურის ნაპირებზე რამდენიმე ბატარეა დგასო.

ტოკიო. ოფიციალური. იმ კოლონის ნაწილი, რომელიც ჩანტუშია, განაგრძობს რუსების დევნას და დაიჭირა კიდეც სულუშუ და სუმენჩანი. იაპონელები მივიდნენ სანტაოცზში 22 მარტს და ცეცხლი მიუშვეს რუსეთის კავალერიას, რომელშიაც 5 ათასი კაცი იყო და რომელნიც ჩრდილოეთისკენ გაიქცა.

კოლომბო. გემმა „მარმარა"-მ დაინახა 350 მილის მანძილზე ცეილონიდან სამი დიდი გემი, რომელთაც ოსტ-ნორდ-ოსტისაკენ ეჭირათ გზა. როცა მოახლოვდნენ, ერთი ჯავშნოსანი აღმოჩნდა.

ნეაპოლი. იმპერატორი ვილჰელმი დილის 10 საათზე მოვიდა.

ვორონეჟი. სესხზე ხელის მოწერით 920,000 მ. შეიკრიბა.

პეტერბურგი. რუსეთის საზღვაოსნო და სავაჭრო საზოგადოების გამგეობა იუწყება, 18 მარტს ტუაპსედან მიღებული ცნობით, ნოვოროსიისკიდან მომავალ გემ „იმპერატრიცა მარიამ"-ის დაღუპვის შესახებ, ტუაპსე, რადგანაც გემი ხსენებულ რიცხვს ხმელთა შუა ზღვაში იმყოფებოდაო. არ ერთ ხსენებულ საზოგადოების გემს არ შემთხვევია ისეთი რამ, რაც ხსენებულ დეპეშაში იყო მოხსენებულიო.

ვარშავა. „ვარშავის დნევნიკ"-ი იუწყება, 21 მარტს პრაგის სავაჭრო-სამრეწველოს საერთო ბაღნაკაში, როცა 13 მარტს მომხდარ აფეთქების დროს დაჭრილი სამი გოროდოვოი იწვნენ, შეიპარა ბოროტ-გამზრახველი და სროლა დაუწყო გოროდოვოი სარაჯს. მოირბინეს მოსამსახურეებმა, მაგრამ დამნაშავე უკვე მიმალულიყო.

პეტერბურგი. 23 მარტს თათბირთ მინისტრთა კომიტეტმა დაასრულა იმ კითხვების განხილვა, რომელნიც დასავლეთ 9 გუბერნიების დებულებიდან გამომდინარეობენ. კომიტეტი შეჩერდა იმ პირობების განხილვაზე, რომლებმაც ადგილობრივ ენებზე სკოლებში სწავლება უნდა ნადგეს და აგრეთვე თათბირი ჰქონდათ იმ ადმინისტრატიულ განკარგულების შესახებ, რომელნიც პოლონურ ენის საჯარო ადგილებში, შინაურ საქმეების წარმოების დროს და კერძო დაწესებულებებში ხმარებას შეეხებიან.

მოსკოვი. სახოლერო სიუზდმა სასარგებლოთ სცნო აუცრან ხოლერა ხალხს.

კრემენჩუგი. დაატუსაღეს ვახმისტრი მაკაროვი და კაზაკები პოლიაკოვი და ტკაჩევი, როგორც აფიცერ კულიკოვის მოკვლაში მონაწილეობის მიმღებნი.

როსტოვი დონზე. კავკასიის გზის ნოვოროსიისკის კომერციულ სააგენტოში დანიშნულია ვადიანის პურის ხორბლის აუქციონით გასყიდვა 644 ათას მანეთ ვალის ხსენებულ სააგენტოსთვის მისაზღავათ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
23 მარტი.

ტოკიო. 23 მარტი. ოიამას მოხსენებით იაპონელთ რაზმმა უკან დაახევინა რუსებს, რომელნიც იდგნენ ტშულუხუში, ორის მილის მანძილზე ჩრდილოეთით ჩანტაუდან და სუმეინჩენში 8 მილის მანძილზე ცხულუშიუდან.

პარიზი, 23 მარტი. „ფიგარომ" გამოაქვეყნა ის რეფორმები, რომელნიც საფრანგეთმა წარუდგინა მაროკოს სულთანს. საფრანგეთის ელჩმა გამოუცხადა სულთანის დელეგატებს, საფრანგეთი უზრუნველ ჰყოფს მაროკოს თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, სცდილობს გააძლიეროს სულთანის ავტორიტეტი და მოსპოს ანარქია, რომელიც სასაშიშროა საფრანგეთის სამფლობელოსთვის მაროკოში. ამ საქმეში საფრანგეთი წარმომადგენელია დაინტერესებულ სახელმწიფოებისა, რომელთანაც შეთანხმება მოხდა ამის შესახებ. საჭიროა მაროკოში გაიმართოს ნავთ-სადგურები, გზები, კაბელები, მოწესრიგდეს ფულის ჭრის საქმე და დაარსდეს სახელმწიფო ბანკი.

პარიზი. 23 მარტი. „მატენ"-ის კორესპონდენტი ტელეგრაფით იუწყება ხუანშუანიდან, ოიამას არმია ძალა გამოლეულია და ცოტა ხანს ვერ განაგრძობს გზასაო.

სოფია. მთავრობის განკარგულებათა კრებულში გამოქვეყნებს ბრძანებას საზღვრიდან იმ აფიცრების დათხოვნისა, რომელნიც მაკედონიაში წასვლელ რაზმებში მიიღებენ მონაწილეობას. ეს დათხოვნა აფიცრებს სასჯელად ...

დებათ. სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, დაატუსაღონ და სამართალში მისცენ ის სამხედრო პირნი, რომელნიც საზღვარზე გადავლენ.

ვარშავა, 13 მარტი. გუშინ და დღეს საგრობო დარაჯებმა, სალდათების ორ როტასთან ერთად, გაჩხრიკეს ქალაქის განაპირა ადგილები. დაატუსაღეს 77 კაცი, უნახეს ბევრი პროკლამაცია და რევოლვერი.

მარიუპოლი. გუშინ მოსული საზღვარ-გარეთელი გემები არ იტვირთებიან, რადგანაც მუშები არა ჰყავთ. ადგილობრივმა არტელმა ზამთარში ძლიერ ასწია ფასი საქონლის-დატვირთვა-გადმოტვირთვაზე; ამიტომ, ექსპორტიორებმა შეთანხმება მოახდინეს მოიჯარადრესთან და გამოიწერეს მუშები. მაგრამ ადგილობრივმა მუშებმა არ გაუშვეს მოსულები სამუშაოთ. მოსული მუშები 100-ზე მეტია; ექსპორტიორებმა და იჯარადრებმა სთხოვეს ადგილობრივ არტელს, მიიღეთ ისინიცო. კანტორები მზათ იყვნენ ყველა სამუშაო ადგილობრივ არტელისთვის მიენდო, მაგრამ, როცა თხოვნას მთავრობის წარმომადგენლებმაც დაუჭირეს მხარი, მაშინ ადგილობრივმა მუშებმა უარი განაცხადეს მუშაობაზე, რისთვისაც საკითხი ისევ გადაუწყვეტელია ჯერ.

დუბროვკა. (სარატ. გუბ.), 23 მარტი. ადები და ნოქრები შეთანხმდნენ ერთმანეთში და საბჭომ შეადგინა სავალდებულო დადგენილება სავაჭრო დაწესებულებათა კვირაობით და ათ-თორმეტ დღესასწაულებში გახსნის შესახებ; ხსენებულ დღეებში ვაჭრობა მხოლოდ 15 წ. უნდა სწარმოებდეს; საქმის დღეებში აპრილიდან ოქტომბრამდე ივაჭრონ დილის 6 საათიდან საღამოს 8-მდე., ოქტომბრიდან აპრილიდან— დილის 8 ს. საღამოს 6-მდე.

პეტერბურგი, 23 მარტი. გუშინ ვარშავიდან მოვიდა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი კოვალევსკი და შეუდგა თავის მოვალეობათა აღსრულებას.

როსტოვი (იაროსლავის). 23 მარტს გაიხსნა სანიტარული კომისია ხოლერასთან საბრძოლველად.

ჟურნალ გაზეთებიდან

ვლადივასტოკი. ინგლისურ გაზ. „ევნინგ სენ"-ის კორესპონდენტი დეპეშის იუწყება ტოკიოდან, იაპონია ბეჯითად ემზადება ვლადივოსტოკის ასაღებადო.

კორესპონდენტი სწერს: იაპონიის ყველა დიდი ქალაქი მოვიარე და დავრწმუნდი, რომ ყველგან მუშაობა დუღს და ყველგან ბეჯითად ამზადებენ რეზერვისტებს (სათადარიგო ჯარის-კაცებს). ბაირაღ ქვეშ ხელახლად 175 ათასი კაცი გაიწვიეს. მაგრამ ყველა ახალი ჯარის-კაცი მომქმედ არმიაში როდი გაიგზავნება: ნაწილი იაპონიაში დარჩება. ზოგს რეზერვისტსა და მორჩენილ დაჭრილ სალდათებს ნაპირების დასაცველად და ტყვეების საყარაულოდ დასტოვებენ: იაპონელებს ბევრი დარაჯი სჭირდებათ ტყვე რუსების სადარაჯოდ. ამ ჟამად სულ 300 ათასი რეზერვისტია შეკრებილი, ახლად გაწვეულებიც რომ ვიანგარიშოთ. ამათგან 75 ათასი გენზანში გასასტუმრებლად დანიშნეს. გენზანიდან ეს ჯარი ზღვის ნაპირ-ნაპირ წავა რუსეთ-კორეის საზღვრისაკენ და ალყას შემოარტყამს ვლადივასტოკს. ამ ჯარის გადასაყვანად 30 ტრანსპორტო გემი დაამზადეს; შტაბის ვარაუდით, ჯარის ჩადაყვანა 28 მარტს დაიწყება და 10 აპრილს გათავდება. უეჭველია, ამ ჯარსაც იმნაირადვე მარჯვედ გადაიყვანენ, როგორც აქამდე გადაჰყავდათ ხოლმე. ამ ჯარის გაგზავნის შემდეგ კიდევ 60 ათასი კაცი გაიგზავნება, მაგრამ სასტიკად ჰმალვენ და არავის არ უცხადებენ, რა ადგილას უნდა გადაიყვანონ ეს ჯარი. პირველად აქ ეშინოდათ, ვაი თუ რუსებმა ხელი შეუშალონ გენზანში ჯარის გადაყვანასაო, მაგრამ ვლადივასტოკიდან მიღებულმა ცნობამ სულ გაჰფანტა ეს შიში. სამ კრეისერიდან არც ერთს არ შეუძლიან აქტიური მოქმედება. სამ კრეისერს გარდა, რუსებს ვლადივასტოკში მხოლოდ 15 ნაღმიანი გემი და 2 წყალ-ქვეშ მავალი ნავი ჰყავთ; ეს ნავებიც ვერა მოქმედებენ. რომ რუსები მაინც უცებ არ დაეცნენ, იაპონელებმა გენზანში ორი კრეისერი და რამდენიმე კანონირი გემი გაგზავნეს. ჯერ-ჯერობით კორეის ნაპირებზე 4 პოლკი ქვეითა ჯარი და 3 ბატარეა ჰყავთ იაპონელებს, მაგრამ ამ ჯარს ყოველ დღე ემატება რაზმები სეულიდან, სადაც ეხლა ჯარი აღარაა საჭირო. იაპონელები ერთსა და იმავე დროს ვლადივოსტოკის მარჯვნივაც (სამხრეთით) გადაიყვანენ ჯარს და ქალაქის ჩრდილოეთითაც და ხმელეთიდან სრულიად გზას მოუჭრიან ქალაქს. ერთმა იაპონელმა აფიცერმა მითხრა, ვლადივასტოკის ალყა უფრო ჩქარა გათავდება, ვიდრე პორტ-არტურისა და იქნება ვლადივასტოკის აღებით ომიც გათავდესო.

იაპონიის სამხედრო წრეებში ლაპარაკობენ, იაპონიის ჯარი რუსეთ-მანჯურიის საზღვარს იქით აღარ წავაო. ციმბირის შუა გულში შეჭრას აქ არავინ აპირობს. შერიგებაზე ბევრნაირი ხმა დადის, მაგრამ იაპონელებს არა სჯერათ ეს ხმები. („რ.").

სამხედრო მოქმედება შუამანჯურიაში. რუსულ წყაროდან არავითარი ცნობა არ მოდის სამხედრო მოქმედების ვითარებაზე. მარშალ ოიამას მოხსენებიდან სჩანს, რომ 21 მარტს იაპონელებს ცულუშიდან განუდევნიათ რუსები და ცულუშუ და იმის ახლო-მახლო რამდენიმე ადგილი დაუჭერიათ. ცულუშუ ჩანტუფუდან დაახლოვებით 20 ვერსტზე მდებარეობს, ჩრდილოეთით, მარა გზაზე. ამას გარდა იაპონელებს 22 მარტს სანტაიპუ დაუჭერიათ; რუსებს აქედანაც რკინის გზის პირ-პირ დაუხევიათ ჩრდილოეთისაკენ. მაშასადამე 22 მარტამდე რკინის გზის დასავლეთით მიმავალ იაპონიის ჯარს ტელინიდან დაახლოვებით 75 ვერსტი გაუვლია და ცულუშუმდე მისულა; რუსის სააგენტოების ცნობით, რკინის გზის აღმოსავლეთით მანდარინის გზით მიმავალი ჯარიც მანხუანგაიმდე მისულა, ესე იგი თითქმის ამდენივე მანძილი გაუვლია. აქედან სჩანს, რომ რკინის გზის ორსავ მხარეს მიმავალ იაპონიის ჯარს მაინც და მაინც დიდი მანძილი არ გაუვლია ტელინიდან და ალბად, დროებით შემდგარა და შეუსვენია.

„ინდეპენდანს ბელჟ"-ი სწერს: პეტერბურგში და ალბად ომის ასპარეზზეც, რუსები ძლიერ გაკვირვებულნი არიან, რად შედგნენ, ასე ნელა რად მოდიან იაპონელებიო. ბევრს ჰფიქრობენ, მაგრამ მიზეზი იაპონელთა ჯარის შედგომისა მაინც ვერ გაუგიათ. ზოგი ირწმუნება, მარშალ ოიამას ჯარს სამის კვირის ბრძოლის შემდეგ არ შეუძლიან დაუღალავად, განუწყვეტლივ სიარული და მოქმედებაო; ზოგი ირწმუნება, იაპონელები მხოლოდ განგებ, მოსაჩვენებლად მოდიან რკინის გზის პირად, ნამდვილად კი ამ დროს გენ. ნოგის არმია შესანიშნავ პლანს ასრულებს, რუსის არმიას გვერდიდან უვლის და მალე ხარბინის გზას მოუჭრისო; დასასრულ, ზოგი ამბობს, იაპონელები დასავლეთიდან კი არა, აღმოსავლეთიდან უვლიან რუსის ჯარს და ხარბინის აღებას კი არა, უმთავრესად გირინისა და ვლადივასტოკის აღებას ცდილობენო. ყველა ეს ფიქრი და მოსაზრება ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ მთელი წლის ომის შემდეგ, რუსებმა მაინც ვერა გაიგეს-რა მარშალ ოიამას პლანისა და დღემდე ბრმად მოქმედებენ, ხან უმიზეზოდ იხევენ უკან, ხან უმიზეზოდ წინ მიდიან. იაპონელებმა-კი მშვენივრად იციან რუსების ყველა განზრახვა და წინადვე იციან, რა ღონისძიება მიიღონ რუსის ჯარის წინააღმდეგ. დიდ საცოდაობაშია რუსის ჯარი. იაპონელები, როგორც საჭიროდ დაინახავენ, ისე იქცევიან და წინადვე იციან, რომ რუსები იმათ განზრახვას ვერ მიჰხვდებიან და სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ... მართალია აქ, 14 ათას ვერსტის მანძილზე (ბელგიაში), იაპონიის მთავარ-სარდლის პლანი ჩვენც ისევე ცუდად ვიცით, როგორც რუსის გენერლებმა, მაგრამ მაინც დარწმუნებულნი ვართ, რომ იაპონელი სარდლები არას დროს არ გამოუდგებიან სახიფათო საქმეს და თავიანთ გამარჯვების რეზულტატს (შედეგს) არ გააქარწყლებენ. არა გვგონია, რომ იაპონელებმა 400—500 ვერსტი გაიარონ ციციკარამდე და ასეთ დიდ მანძილზე მოჰშორდნენ თავიანთ ბაზას. იქნება ხარბინი აიღონ, რადგან ამ ქალაქის აღებას დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ექმნება, მაგრამ ეჭვი არაა, მარშალი ოიამა ხარბინში თავის ჯარის ნაწილს გაჰგზავნის და არა მთელ ჯარს. უფრო ჭკუას ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ მარშალი ოიამა გენ. კუროკისა და გენ. კავამურას არმიას გირინისა და ნინგუტასაკენ გაჰგზავნის, გენ. ლინევიჩის არმიას გირინის ნაყოფიერ პროვინციიდან განდევნის, ამავე დროს ვლადივოსტოკსაც გზას მოუჭრის და იმის აღებას შეუდგებაო. („ო. ნ.").

გუნჩჟულინიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს"-სა: იაპონელების მზვერავი რაზმები მუდამ უახლოვდებიან ჩვენ მოწინავე რაზმებს და ბეჯითად ჰზვერავენ. ჩინელები ამბობენ, იაპონელებს მუდამ დღე მაშველი ჯარი მოსდითო.

იმავ გაზეთს ატყობინებენ: ჩინელები ამბობენ: იაპონელებმა რკინის გზა ვიწრო ლიანდაგიანად გადააკეთეს, მუკდენი დალნისთან შეაერთეს. ჯარისათვის იაპონელებს სამის გზით მოაქვთ სურსათი: სეულ-ფინხუანჩენით, დალნი-მუკდენით და სინმინტინის გზითაო.

ტყვე რუსების რიცხვი. „ლოკალ ანცაიგერ“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება 15 მარტის თარიღით: მუკდენთან დატყვევებული რუსები ნელ-ნელა მოჰყავთ იაპონიაში. თავიანთ დახეულ მუნდირებით ტყვე რუსები საზარელ შთაბეჭდილებას ახდენენ. იაპონელები კარგად ექცევიან და კარგად უხვდებიან ტყვეებს. მუკდენთან დატყვევებულ რუსების რიცხვი ეხლა 65 ათასამდე აღის. გენ. ნოგის არმიამ 35 ათასი კაცი დაატყვევა, გენ. ნოძუს არმიამ — 20 ათასი და გენ. კუროკის არმიამ — 10 ათასი. 18 ათასამდე ტყვემ გაქცევა მოასწრო და თავ-თავის რაზმთან მივიდა. სულ ამ ჟამად იაპონიაში 86 ათასი ტყვე რუსი იმყოფება. („ბ. ვ.“).

ეს ცნობა სრული არ უნდა იყოს. აქ არაა ნათქვამი, რამდენი კაცი დაატყვევა გენ. ოკუს არმიამ; ამას გარდა, კორესპონდენტი მხოლოდ 15 მარტამდე მიყვანილ ტყვეების რიცხვს ანგარიშობს.

რუსეთის სამხედრო სესხი. „დეილი ნიუს“-ს სწერენ პარიზიდან: თუმცა ბევრს ლაპარაკობენ, ვითომ საფრანგეთის ბანკები ყოყმანობენო, მაგრამ მაინც ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთი რუსეთს ერთს გროშს არ ასესხებს, თუ რუსეთი იაპონიას არ შეურიგდება. კლემანსო ირწმუნება, სრულიად სწორეა ის ხმა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე ემხრობოდა რუსეთის ახალ სესხს, პირველი მინისტრი რუვიე კი გაბედვით ეწინააღმდეგებოდაო. უნდა შევნიშნოთ, რომ კლემანსომ მუდამ კარგად იცის, რაც მთავრობის წრეებში ხდება. („ნ.“).

სამხედრო სურსათის აფეთქება ხარბინში. 14 იანვარს, დილის 11 საათზე, ხარბინში, საარტილერიო საწყობში რაღაცა ხმაურობა გაისმა და შემდეგ ზედიზედ რამდენჯერმე აფეთქება მოხდა. ლაბორატორიაში კივილი გაისმა; ერთ არტილერისტს ფეხი მოსწყდა; კიდევ ორი-სამი კაცი დაშავდა და სისხლიდან დაიცალა. ლაბორატორიის შიგნით მომაკვდავთა კივილი და კვნესა თანდათან სუსტდება. ლაბორატორიის ბანი დიდად გაინგრა; აქვე ლაბორატორიის გვერდზე, რამდენსამე წყებად ერთი ერთმანეთზე დალაგებულ ყუთებში ათი ათასობით ეწყო ყუმბარები, მანჯურიის არმიისათვის დამზადებული და აი აქაც ვეება ალი ამოვარდა — საწყობში მსახური აფიცრები ყუთებს ეცნენ და შეშინებულ სალდათებსაც დაუძახეს. სალდათებმა ტყავები დაიხადეს, ცეცხლის ალში გადისროლეს და, როგორც იყო, ცეცხლი ჩააქრეს... აფეთქების მიზეზი ვერ გაიგეს. იქნება ამ საშინელ შემთხვევის გამომწვევი პირველივე დაიღუპა. („პ. ვ.“).

შიმშილობა აღმოსავლეთ ციმბირში. თავადი მეშჩერსკი სწერს „გრაჟდანინ“-ში: ეჭვი არაა, რომ შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკი „ევროპის სასტუმროში“ ცხოვრობს არა მცირე შტატით. ამბობენ, ნამესტნიკს ისე ცოტა საქმე აქვს, რომ ხან-დახან არაფერი არა აქვს ხოლმე მოსახსენებელიო. მაგრამ აგერ თვეზე მეტია, რაც შორეულ აღმოსავლეთიდან ამბავი მოდის მთელ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, იაკუტსკიდან მოკიდებული შიმშილობა დაიწყო და შეიძლება საშინლად გაძლიერდესო. განა ყველა ეს ოლქები, სადაც, როგორც ამბობენ, ზოგიერთ ადგილას პური არა აქვთ, ნამესტნიკის საბძანებელს არ შეადგენს და განა ნამესტნიკის მოვალეობა არაა განსაკუთრებული ღონისძიება მიიღოს და მთელი აღმოსავლეთი ციმბირი შიმშილისაგან სიკვდილს გადარჩინოს?

ხმები ზავზე. „სლოვო“-ს შეუტყვია სარწმუნო წყაროდან, ტყუილია ის ხმა, ვითომ ზავზე მოლაპარაკება გამართულიო, პირიქით რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, ომი მხნედ განვაგრძოთ, ვიდრე არ გავიმარჯვებთო.

ნაციონალიზმი, როგორც პრინციპი სიყვარულისა.

მომეტებული ნაწილი ნაციონალისტებისა ეროვნების საფუძვლად სიყვარულის გრძნობას აღიარებს. საერთო წარსული, ერთად განვლილი გზა ისტორიულის ცხოვრებისა, საერთო პირობები აწმყო არსებობისა და მრავალი სხვა საერთო ფაქტორი ადამიანის სულიერის აგებულებისა ბუნებრივად ჰქმნის საერთო შეგნებას, ურთიერთისადმი სიყვარულის გრძნობას და აი ეს სიყვარული შეადგენს, ნაციონალისტების აზრით, ეროვნების იდეას. ეროვნების საკითხი ამ გვარად გადააქვთ ისტორიიდან აწმყო ცხოვრებაში, ისტორიულად შემუშავებულ და განვითარებულ გრძნობას აღიარებენ მოქმედების პრინციპად და ამ პრინციპს ასალებენ კაცთ-მოყვარეობის სახელით.

პირველის შეხედვით, ნაციონალისტების მოძღვრებაში ყველაფერი რიგზეა მოწყობილი, ყველაფერი დასაბუთებულია და ისტორიულად გამართლებული, მაგრამ ნამდვილად-კი აქ დიდი შეცდომაა: საბუთები, ე. ი. არგუმენტაცია შეეხება საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებას, დასკვნა კი პსიხიური და ინდივიდუალისტურია. ეს მეთოდოლოგიური შეცდომაა. ყოველი მოძღვრება, როგორც პრაქტიკულ მიმართულების ლამპარი, უნდა იძლეოდეს ისეთს პრინციპს, რომელიც ანათებს მომავალს და გვიჩვენებს იდეალს; ნაციონალისტური მოძღვრება ამის მაგიერ აღნიშნავს მხოლოდ იმ გრძნობას, რომელიც ისტორიამ უკვე შეჰქმნა და სწორედ ამ გრძნობას აღიარებს პრინციპად. ეჭვს გარეშეა, რომ ყოველ ისტორიულს და სოციალურს ძალას აუცილებლად შესაფერი გრძნობა აქვს, მაგრამ თუ ეს გრძნობა თავის თავად აღიარეთ პრინციპად, თქვენ ამით ცხოვრების ახალს ნიადაგზე მოწყობის გზას ჰკობავთ და წარსულისაკენ იყურებით. ვინც ნაციონალიზმის იდეას სიყვარულის პრინციპში ჰხედავს, ის წინ ვერ წავა, იმას მხოლოდ აწმყოს შერჩენა ან წარსულის დაბრუნება შეუძლიან. ჩვენი სიტყვები რომ ფუჭ თეორიულ აზრად არავინ მიიღოს, მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დასავლეთ ევროპაში და თვით რუსეთში ნაციონალისტური მიმართულება მუდამ რეტროგრადული და კონსერვატიული ყოფილა. საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი, პოზიტივურ ფილოსოფიის ავტორი ოგიუსტ კონტი ღრმად დარწმუნებული იყო და ამტკიცებდა, ერთად ერთი წმინდა ფრანგული ფორმა სახელმწიფო მმართველობისა აბსოლიუტური მონარქია არისო. არც საკვირველია, რომ ნაციონალიზმი, როგორც სიყვარულის პრინციპის მოძღვრება, რეალურად კონსერვატორობას აღნიშნავს. ნაციონალისტის სიყვარული დამყარებულია წარსულსა და აწმყოზე (რა თქმა უნდა, უფრო წარსულზე), წარსული და აწმყო აუცილებლად ადამიანთა ურთიერთობის განსაზღვრულს ფორმას შეიცავს, განსაკუთრებულს სახელმწიფო და სოციალურ ცხოვრების წესს; სიყვარული აუცილებლად კონკრეტულ საგანს თხოულობს და აწმყოსა და წარსულში ეს გრძნობა, უეჭველია, იმის მეტს ვერაფერს იპოვნის, რაც უკვე არსებობს ან წინად არსებობდა. აშკარაა, ნაციონალისტის პროგრამმა რეალურად კონსერვატიული უნდა იყოს.

ისტორია და თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობა ამტკიცებს, რომ ნაციონალისტების ქადაგება სწორედ მაშინ აიმაღლებს ხოლმე ხმას, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრების ტალღა არსებულის წესის ცვლილებას ითხოვს, ახალ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივს ფორმებს ჰქმნის, სწორედ მაშინ მიჰმართავენ ხოლმე უკიდურესი კონსერვატორები მამულიშვილურს გრძნობას, სწორედ მაშინ მოიწოდებენ ხოლმე ხალხს სამშობლოს სიყვარულისკენ. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ მამულიშვილობა და ნაციონალისტების სამშობლოსადმი სიყვარული, როგორც პრინციპი მოქმედებისა, უთუოდ წარსულს დაებღაუჭება და უარჰყოფს მომავალს.

ნაციონალიზმი, როგორც პრინციპი თავისიანის სიყვარულისა, აუცილებლად იგულისხმებს არა თავისიანის ე. ი. სხვა ეროვნების სიძულვილს. რამდენიც უნდა იყვირონ ნაციონალისტებმა, არავინ არა გვძულსო, იმათ სიტყვას მაინც გასავალი არ ექნება. ვინც მოქმედების პრინციპად ერთ რომელისამე ეროვნების წარმომადგენელთა სიყვარულს ჰხდის, იმას უეჭველია არ უყვარს სხვა ეროვნების წარმომადგენელი, რადგან წინააღმდეგს შემთხვევაში, ის ნაციონალისტი კი არა, ინტერნაციონალისტი იქნებოდა. ამ გვარად მეორე დამახასიათებელი თვისება ნაციონალიზმისა არის შოვინიზმი, რომლის დამალვასაც ჩვეულებრივ დიდის გულმოდგინებით სცდილობენ, რადგან თითონ ნაციონალისტები აშკარად ჰხედავენ, რომ შოვინიზმი სამარცხვინო და უკეთურთი რამ თვისებაა.

ასეთია ის ნაციონალიზმი, რომელიც ეროვნების საძირკვლად და ეროვნულ მოღვაწეობის პრინციპად თავისიანების სიყვარულს აღიარებს. ჩვენ ამ სახის ნაციონალისტებთან არაფერი არა გვაქვს საერთო, პირიქით, ჩვენი მიზანია ქართველ ერში ეს მოძღვრება დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, მაგრამ ეს სრულიად იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ ქართველ ერის ინტერესი არაფრად მიგვაჩნდეს და ეროვნულ მიმართულებას უარსა ვყოფდეთ. სრულიადაც არა; თუ გნებავთ, ჩვენც ნაციონალისტები ვართ, მაგრამ ნაციონალიზმი სხვაგვარად გვესმის და არა ისე, როგორც სიყვარულის პრინციპი, ე. ი. კონსერვატორობა და შოვინიზმი. ჩვენს შეხედულებას ნაციონალიზმზე თანდათან ვაცნობთ მკითხველებს.

გ. რ.

სოფლად

—

სოფ. ძევერა (ქართლი). 20 მარტს აქ მოხდა გლეხთა ყრილობა. ყრილობამ აარჩია 12 კაცი და იმას მიანდო ყველა საქმის გარჩევა. დაადგინეს: არ გვინდა პოლიცია და სუდები, ჩვენ თითონ გავუძღვებით ჩვენს საქმეს; მოისპოს აქციზი ნადელები განთავისუფლდეს მღვდლებს აღარ მიეცეთ დრამა, ამის ნაცვლად მიეცემათ 1 მანეთი წინ გასძღოლი და 1 მანეთი ჯვრის საწერით და სხვა.

—

სამეგრელო. 16 მარტს 3000-ზე მეტი ქალი და კაცი შეკრებილიყო ს. საჯიჯაოს ეკკლესიის გალავანში. მაზრის უფროსს ელოდნენ. წინა-დღეს ხორშის, ზენის და ზანას სოფლის წარმომადგენლებს მსჯელობა ჰქონდათ თავიანთ გაჭირვებაზე. საერთოდ ის აზრი გამოითქვა, რომ ასე ცხოვრება ყოვლად შეუძლებელიაო. ყოველ ნაბიჯზე უსამართლობა, ხმა რომ ამოვიღოთ, იმის ნებას არ გვაძლევენ. ნურავინ იფიქრებს ჩვენ ფეხის ხმის ამყოლი ხალხი ვიყოთ, მაგრამ გურიის ამბებს სულით და გულით თანავუგრძნობთ; თანავუგრძნობთ იმისთვის, რომ, რაც გურიის გლეხებმა სთქვეს, ის ჩვენ, მეგრელების-კი არა, მთელ საქართველოს და რუსეთის გლეხების გაჭირვებაცაა, და სულ ერთია, გურიას არ დაეწყო, ჩვენ დავიწყებდითო. სხვა შეწუხებას რომ თავი დავანებოთ, მღვდელი 15 მან. ნაკლებ არა სწერს ჯვარს. მაგრამ რაღა ჯვარის წერა — მიცვალებულს ვინ გვიმარხავს უსასყიდლოდ-უფასოდ. „დრამის“ ფულს მარტო გლეხები ვიხდით. სასწავლებელში ჩვენი შვილები ტყუილად ჰკარგავენ დროს. ქართული, რაც ჩვენთვის უფრო საჭიროა, სულ განდევნეს. გზებსაც მარტო ჩვენ ვაკეთებთ. რისთვის მერე? ერთმა გლეხმა სთქვა, დრამის, მწერლის და მასწავლებლის ფულისთვის სხვა საშველი რომ არა მქონდა, ურემი გავყიდე და მით გავისტუმრე გადასახადიო; მერე ურემი ვერ შევიძინე და მეღუპება ოჯახიო.

მეორე დღეს ბოქაული მოვიდა და გამოაცხადა სამარ დროის წეს-რიგია შემოღებულიო.

კ. ხორშელი.

—

სოფ. ამბროლაური (რაჭა). დიდის ხნის მიყრუებული რაჭაც აიძრავდა. ყოველის მხრიდან გაისმის ძმობის და ერთობის ძახილი. 13 მარტს მაზრის უფროსმა მოიწვია ამბროლაურის საზოგადოება. ყრილობას დაესწრო თვით მაზრის უფროსი, ბოქაული, მომრიგებელი შუამავალი და რამდენიმე საერობო დარაჯი. მაზრის უფროსმა გამოუცხადა ხალხს: თქვენ ნუ აჰყვებით იმ კაცებს, რომელნიც დადიან სოფელ-სოფელ და ხალხს აღელვებენო. ხალხმა ერთხმად შესძახა, რის კაცები, რის აყოლა! ჩვენ ჩვენი უბედურება გვაწუხებს, სხვის აყოლა რაღად გვინდაო. აღარა გაგვაჩნია სულის მეტი არაფერი და ისიც უნდათ ამოგვაცალონო. მოდით, ნახეთ ჩვენი ბეღელი, თუ ერთ მარცვალ ჰპურნახულს იპოვით შიგ; მოდით ნახეთ ჩვენი ქვევრი, თუ ერთ წვეთ ღვინოს იპოვნით; საიდან გადავიხადოთ ამდენი უზომო გადასახადიო? მაზრის უფროსმა ურჩიათ, ამოერჩიათ კაცები; იმათ გადმოეცემ, რასაც თხოულობთო. საზოგადოებამ აარჩია ორი კაცი. ეს კაცები მომზადებულნი არ იყვნენ სალაპარაკოდ, სთხოვეს მაზრის უფროსს, წერილობით მოგახსენებთ ჩვენს მოთხოვნილებებსაო. მაზრის უფროსი დასთანხმდა. მაზრის უფროსისთვის შეკაზმული „პრაგონის“ ცხენები ხალხმა გამოიყვანა იმის წინ და გარეკა იქით. დღეის ამას იქით აღარ დავინახოთ „პრაგონის“ ცხენები რომ ჩინოვნიკებს მისცეთ, თორემ მოგკლავთო, დაემუქრა ხალხი მოიჯარადრეს. მაზრის უფროსი ნაქირავებ ცხენით წავიდა სოფ. წესამდი. ეს მოხდა 13 მარტს. 14 მარტს მაზრის უფროსი წავიდა ქუთაისისაკენ.

ვანო ჭიჭინაძე

—

სოფ. მარტყოფი (ტფ. მაზ.). 27 მარტს აქ მოელიან მომრიგებელ შუამავალს თ-დ სიდამონოვ-ერისთავს, რომელსაც უკვე უნდა წარუდგინონ თავისი მოთხოვნილებანი. სხვათა შორის, სამღვდელოების შესახებ სოფლის ყრილობამ დაადგინა: რადგან ამ სოფლის სამა მღვდელი მუდამ ჩხუბში არიან, არა შენ მეტი კომლი გყავს, შენ მეტიო. თვით ყრილობამ გაუყო ეს მრევლი სამად: თითო მღვდელს ეხლა თანასწორად 340 კომლი ერგო,

სოფ. კეხიჯვარი (ქართლი). ადგი[illegible]ბრივ მცხოვრებთ რიცხვით 300[illegible] კაცს კრება ჰქონდა თავიანთი საჭირ[illegible]ების გამოსარკვევად და შესაფერი [illegible]დგენილებაც მოახდინეს. კრებამვე ღ[illegible]რა ადგილობრივი სამინისტრო სკ[illegible]

გ[illegible]იის ამბები

(კო[illegible]ონდენტის შთაბეჭდილებანი)

გუ[illegible]დან კორესპონდენციების გზავნა ერ[illegible]ბ საჩქარო, ყოველ დღიური საქმე იყო. [illegible]ვის ვესწრობდით უფრო საყურადღებო ამბების აღნიშვნს. ბევრი რამ დაგვრჩა დაუწერელი, აღუნიშნავი. დღეს, კალამს რომ ვიღებ ხელში და ვითვალისწინებ გურიაში ნახულსა და ნაგრძნობ-ნაფიქრს, რაღაც ეჭვი მეუფლება, ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ შევიძლებ სავსებით დავიხატოთ და გადმოვცეთ შესანიშნავი სურათი გურიის დღევანდელ ცხოვრება-ვითარებისა.

ორი კვირის განმავლობაში შემოვიარეთ თერთმეტი სასოფლო საზოგადოება. ბუნება ჩვენი მფარველი იყო. ყოველ დღე ბრწყინვალე, მშვენიერ მზე დაგვნათოდა: ერთი წვიმიანი დღეც არ შეგვხვედრია. ბუნება და გურულების გულიღია, ღიმ-მორეული მასპინძლობა კარგად ეწყობოდა, მწყობრად ეთანხმებოდა ერთმანეთს. ბევრჯელ დავფიქრებულვარ იმაზე, თუ რა არის გურული ხალხის განსაკუთრებული თვისება, რაში გამოიხატება ის შესანიშნავი ზნეობრივი ძალა, ის უხილავი სულიერი ძაფები, რომლითაც გიზიდავთ გურული ხალხი, ქალი და კაცი და მათ სიახლეს, მათთან კავშირს თქვენთვის საამოდ ხდის. ჩემის ფიქრით მხიბლავი თვისებანი გურულებისა — მათი ცოცხალი ნიჭი, სულის სიფაქიზე, მგრძნობიარე გული და მოსწრებული სიტყვა-პასუხია. გურულ კაცთან მუსაიფი თავის დღეში არ მოგწყინდებათ. მკვირცხლი გონების პატრონი, იგი თქვენთვის სრულიად მოულოდნელ სურათებით აცხოველებს თავის სიტყვა-პასუხს. ისეთ მოსწრებულ, მახვილ სიტყვებს ხმარობს ლაპარაკში, რომ რაც უნდა დაღვრემილ-დაფიქრებული იყოთ, არ შეიძლება გულიანად არ გაიცინოთ, არ განაბნიოთ გულზე ჯანღივით მოწოლილი სევდა.

მსოფლიო პოეტს თქმისა არ იყოს, „ცხოვრება აუტანელი ტვირთი იქნებოდა, ბუნებას რომ ჩვენთვის სიცილის ნიჭი არ ებოძებინა წილად“. მართლაც ხშირად სიცილი, ერთი გულიანი გაცინება, მზის მხიარულ შუქივით მოეფინება ნაღვლიან გულს, გაამხნევებს ადამიანს და წელში გამართავს ხოლმე. თუ გნებავთ, მაგალითსაც მოვიყვან ჩემი სიტყვების დასამტკიცებლად. გურიაში ერთ ჩემ მოყვარეს ვეწვიე. რამდენსამე კაცს მოეყარა იმის სახლში თავი. ერთმანეთს გამარჯობა ვუთხარით და ჯგუფად დავსხედით მეგობრულ სამუსაიფოდ. რასაკვირველია ლაპარაკი მალე ჩვენი დროის ვითარებაზე, დღევანდელ საზოგადო ჭირ-ვარამზე ჩამოვარდა. ერთმა დამსწრეთაგანმა მოგვიყვა თავგადასავალი ხალხის ერთგულ რამდენიმე აგლაგზდა კაცისა, რომელნიც ადმინისტრაციამ დაიჭირა და, რასაკვირველია, სატუსაღოში დაამწყვდია. ყველა დამსწრეთ გულს სევდა მოგვეფინა ამ ამბავმა. თვითეული ჩვენგანი ფიქრობდა იმ სასტიკ, ულმობელ წესწყობილებაზე, რომელიც მაჯლაჯუნასავით დასწოლია ხალხის ცხოვრებას და სულს უხუთავს. წუთიერი სიჩუმე გამეფდა. ბოლოს ხმა აიმაღლა ერთმა დამსწრეთაგანმა და სთქვა: „ეს ყველა კაია. და ერთი რამ კი მაკვირვებს, — ამ ჩვენ ერთგულ მეგობრებთან ერთად ესა და ეს ყოვლად უვარგისი კაცები რად დაიჭირეს; ისინი არაფერ საქმეში არ ერეოდნენ, მხოლოდ თავის საკუთარ კუჭს უწევდნენ ერთგულობას. რად მიიჩნია ისინი ადმინისტრაციამ „ბუნტის“ თავებად და რად დაიჭირაო?“. ამაზე ცქვიტად პასუხი გასცა ერთმა მის გვერდით მჯდომმა გურულმა და სთქვა: „რავა, ძამია, თევზის ჭერაზე არ გიყურებია, კალმახებისთვის რომ უსროლიათ ბადე, კალმახებს რამდენიმე გლახა ყვაჭიჭაც (ბაყაყი) გამოჰყოლია ბადეშიო!“.

გაისმა საერთო გულიანი სიცილი. მოსწრებულმა სიტყვამ თავისი ქნა: გულის სევდა გაგვიფანტა, მხნეობა შეგვმატა, უიმედობასა არ აუფლა ჩვენი თავი და შევვახალისა. საერთო სევდა საერთო მხნეობად შეიცვალა. დროზე ნათქვამი ორიოდე მოსწრებული სიტყვა ნათლად მოწმობდა, რომ გურული კაცის გულში მუდამ ჟამს ჩუხჩუხებს ძვირფასი, ცხოვრების მემახალისებელი და შნოს მომცემი საუნჯე — სიცილის ნაკადული, სევდა-დაღრეჯილობის გულიდან გამბანი და ენერგიის შემქნელი წმინდა, ანკარა ნიჭი.

—

უნებლიეთ გამახსენდა, როგორ უცხადებნენ კრიმ გირეის დეპუტატები ყველა სასოფლო ყრილობაზე, ჩვენ სახელსა და გვარს ვერ გეტყვით, რადგან პოლიციამ ბევრი ჩვენი ერთგული კაცი, ჩვენ წარმომადგენლად გამოსული, დაიჭირა და ციხეში უკრა თავიო.

„როგორ უნდა მოველოდეთ რაიმე სიკეთეს იმ მთავრობისაგან, რომლის წინაშე მართლის მთქმელს ცალი ფეხი უზანგში უნდა ჰქონდეს“ო, მითხრა კერძო საუბრის დროს ერთმა ნაცნობმა გურულმა. კრიმ გირეის მოგზაურობა გურიაში საყურადღებო მოვლენა იყო. ხალხმა პირველად დაინახა მთავრობის მიერ გამოგზავნილი დიდი ხარისხის მექონე მოხელე, რომელსაც გვერდით პოლიცია და „სტრაჟნიკები“ არ ახლდა. მაგრამ ეს გარემოება საკმაო არ იყო გურულების ნდობის მისაპოვებლად, რადგან მეტად გულ-გატეხილები არიან წარსულის მოგონებით. თვითონ კრიმ-გირეიც ეუბნებოდა ხალხის წარმომადგენელთ, თუ ვინიცობაა ჩემი წასვლის შემდეგ დაგიჭირ დეპეშით მაცნობეთო.

უნდა მოუთხრო მკითხველებს საყ რადღებო ამბავი ნიგოითის რკინ გზის სადგურის უფროსის იანკოვსკის შ სახებ, რომელიც როგორც მისთვის არა სასურველი კაცი, მოიშორა კრებიდან ნი გოითის საზოგადოებამ. ამ ვაჟბატონმა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ღრმად ჩა მარხა გულში ეს მწარე შეურაცხყოფა და მეორე დღესვე შური იძია ნიგოითელებზ მეორე დღეს ლანჩხუთში ვიყავით კრებაზ კრიმ გირეიმ მოისმინა ყველა დეპუტატებ სიტყვები. საქმე თითქმის გათავებული იყო.

ამ დროს სახლის ბალკონზე ამოვიდა რა დენიმე კაცი, მოგვიახლოვდა და გამოუ ხადა კრიმ-გირეის, ნიგოითის საზოგადოე ბის გამოგზავნილი წარმომადგენლები ვარ და გთხოვთ, ჩვენი საჩივარი მოისმინოთო. ნიგოითელებმა გამოუცხადეს კრიმ-გირეის, ჩვენი სადგურის უფროსი შურს იძიებ ჩვენზე კრებიდან დათხოვნისათვის. აქამდის უფასოდ გვაძლევდა სადგურზე მიღებულ წერილებს, დღეიდან-კი თითო წერილზ სამი კაპეიკი გადასახადი დაგვადვაო. დღე დის საქონლის თვითეულ ვაგონში ერ მანეთ ქრთამს გვახდევინებდა, დღეიდან კი გამოგვიცხადა, თითო ვაგონში ორ ორი მანეთი ქრთამი თუ არ მომეცით, ცარიელ-ტარიელზე დაგსვამო. თუ ეს ჩვე მი გადაწყვეტილება არ გეჭაშნიკებათ, კრიმ გირეის მიმართეთ, წერილები და ვაგონე ბი იმას ეთხოვეთ უფასოდაო.

ყველანი გაგვაოცა სადგურის უფროსის თავხედობამ. წინადაც ბევრჯელ გამიგონია, რომ არიან ისეთი სადგურის უფროსები, რომლებიც უქრთამოდ არავის აძლევენ ვა გონებსო, მაგრამ ისიც მეგონა, რომ ყველა ეს საჩუმათოდ სწარმოებს, მიმცემ-მიმღებ შუა, კარ-ჩაკეტილად და მოწმეების და უსწრებლად. ნიგოითში კი ამ საზიზღარმა მოვლენამ დღისით-მზისით ამოჰყო თავი თავის მყრალ სოროდან და გაბედულად გაიძახის, მე ვარ და ჩემი ნებაო: თუ არაფერი არ ჩამიდევით ხელში, გზაზე აღარ გაგიშვებთო.

—

ყველამ კარგად იცის, რამდენად დაწინაურებულია დღეს გურია წერა-კითხვის ცოდნითა და განათლების წყურვილით. კერძო საუბრის დროს ისეთ ამბებს მომიყვებოდნენ ხოლმე გურულები, რომ გაოცებული ვიყავი, როგორ გონივრულად ესმისთ მათ ღრმა მნიშვნელოვანი საკითხი მიწის საკუთრების შესახებ. მაგალითად შემდეგი იგავი გადმომცეს გურულებმა ინგლისის ცხოვრებიდან ამოღებული, რომელიც კარგად გამოსახავს მათ აზრს.

ინგლისელმა კაცმა სთქვა: ერთხელ ტყეში თხილს ვკრეფდი, როცა უეცრად ბუჩქებიდან ვიღაც უცნობმა კაცმა ამოჰყო თავი და მკითხა, აქ რას აკეთებო?

— ვერ ხედავ, თხილსა ვკრეფ მეთქი, ვუპასუხე.

— თხილსა ჰკრეფ? მერე როგორ ბედავ აქ თხილის კრეფას?

— ვითომ რა? — ვკითხე მე: განა მაიმუნსა ან ციყვს ნება არ აქვს ამ ტყეში თხილი მოჰკრიფოს. განა საეჭვოდ მიგაჩნია ამ მხრივ ამ ცხოველთა უფლება. მერე განა მე ამ ცხოველებზე უარეს სულდგმულად მიგაჩნივარ და გგონია, რომ მათი თანაბარი უფლება არა მაქვს? შენ ვინღა ბრძანდები და რა უფლება გაქვს, რომ ჩემ საქმეში ერევი და ხელს მიშლი?

— მე შენ გაჩვენებ, ვინცა ვარ. სატუსაღოში რომ ამოგაყოფინებ თავს სხვისი უფლების დარღვევისათვის, მაშინ შეიტყობ ჩემ ვინაობას.

— რეებს მიჰქარავ, — ვუპასუხე მე, — როგორ შემეძლო სხვისი უფლება დამერღვია, იქ, სადაც არავის არ უმუშავნია, არ უხნავს, არ უთესია, არაფერი დაურგავს. თხილი ხომ ბუნების თავისუფალი ჯილდოა — ნაყოფია, ცხოველთა და ადამიანთა სასარგებლოდ აღმოცენებული. საზრდოა ჩვენი, საცხოვრებლად საჭირო მასალა და ამიტომ საერთო საკუთრებას უნდა შეადგენდეს.

— რეებს როშავ, მე შენ გეუბნები, რომ ეს ტყე საერთო კი არა, პორტლანდის ჰერცოგის საკუთრებაა.

— რასა ბრძანებ! მაშ გადაეცი ჩემგან სალამი ჰერცოგს, ამასთანავე ისიც დაუმატე, რომ ბუნება არც მე და არც იმას არ იცნობს და ბუნების სალაროში მხოლოდ ერთი წესია კანონად შემოღებული: ვინც პირველად მოვა, ნაყოფი იმას ხვდება. ამიტომ უთხარი ჰერცოგს, მოუჩქაროს, თუ უნდა რომ იმასაც ერგოს თხილი.

ამ მშვენიერ იგავს, რასაკვირველია, განმარტება არა სჭირია. **ი. ნაკაშიძე.**

ახალი ამბავი

—

◆ ბაქოს გაზეთებში, „კასპი“-სა და „ბაკ. იზვ.“-ში, გადმობეჭდილია სატახტო ქალაქის გაზეთებიდან, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე **გენერალი მალამა თანამდებობას თავს ანებებსო.**

◆ როგორც ქალაქში ხმა დადის, პეტერბურგიდან ამბავი მოვიდა, რომ **ნამესტნი-**

კის თანაშემწედ, რომელმაც კავკასიის სამოქალაქო საქმეები უნდა განაგოს, ინიშნება მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი.

◆ გუშინ საღამოს კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი **ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი** პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ დღეს, დილის 11 საათზე, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდება პირველი საზოგადო **კრება ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა** დამხმარებელ საზოგადოების დამფუძნებელთა. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობა და სარევიზიო კომისია.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა პეტერბურგიდან ბ-ნ ლაზარევისაგან დეპეშა მიიღო. ბ-ნი ლაზარევი ატყობინებს, რომ **სომეხთა დეპუტაცია** რამდენჯერმე წარუდგა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვიტტეს, რომელმაც მოუსმინა მათ ყურადღებით და ამ საქმის მოხსენება წარუდგინა მინისტრთა კომიტეტს. საქმის სასურველად დაბოლოვებას ხელი შეუწყო ნამესტნიკის გადაჰრილმა სიტყვებმა, რომ მე სრულიად არ თანაუგრძნობს 1902 წლის 12 ივნისის დადგენილებასო. დეპუტაციის გრაფმა უთხრა, რომ ეს დადგენილება გადათვალიერებულ იქმნებაო. მოწესრიგდა აგრეთვე სკოლების შესახებ საკითხი და გადაწყდა დასჯილ სასულიერო პირთა შესახები საქმეო.

◆ 23 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ყარაიაზიდან მოკიდებული **გზის მუშებმა და დარაჯებმა შესწყვიტეს მუშაობა.** მუშები გაემართნენ ალსტაფისაკენ და გზა და გზა შეიერთეს ყველა მუშები. მუშები თხოულობენ დღეში თითო მანეთს ქირად. რადგან ამ ნაწილში დარაჯი აღარ არის, გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, ძეგამიდან ყარაიაზამდე მატარებელი ნელა ატარონ. საათში 10 ვერსი უნდა გაიარონ მხოლოდ.

◆ რკინის გზის მოძრაობის უფროსი ინჟენერი მაზუროვსკი ამ სამი დღის წინად ყარსის შტოზე წავიდა **გაფიცულ მუშებთან მოსალაპარაკებლად.** 24 მარტს მაზუროვსკი უკან დაბრუნდა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-13 და 14 ნაწილების მუშები ისევ **განაგრძობენ გაფიცვას**, რადგან მათი მოთხოვნილებანი ჯერ არ შეუსრულებიათ.

◆ 23 მარტს **მოხდა სხდომა ტფილისის სასანიტარო** კომისიისა. კომისიამ დაადგინა: 1. აღდგენილ იქნას მოქმედება წარსულ წელს არჩეულ სასანიტარო რაზმებისა; 2. სასანიტარო რაზმებმა მუშაობა დაიწყონ 1 აპრილიდან; 3. დროებით მოწვეული 4 ექიმი ჩარიცხულ იქმნან საბჭოს ექიმებად და დაენიშნოს თითოს 100 მან. თვეში; 4. განახლებულ იქნას მოქმედება კომისიის კანცელარიისა; 5. ეთხოვოს საბჭოს, რომ ორის თვისათვის ხარჯთ-აღრიცხვით გადადებული 5520 მანეთი ქალაქის კასიდან გამოტანილ იქნას; 6. დაქირავებულ იქნას სახლი, რომელშიაც საექიმო ავადმყოფებს დააწვენენ; 7. ხოლერიანთათვის დაცლილ და მოწყობილ იქნეს ქალაქის ერთი ბარაკი; 8 ეთხოვოს წყალთა სამმართველოს გასწმინდოს სიბინძურისაგან „ნემეცთა“ არხი; 9. შემოიღოს სასანიტარო წიგნები და სხ.

◆ როგორც ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრეს“-ი იუწყება, რუსის მთავრობას უცნობებია ინგლისის მთავრობისათვის **გელათის მონასტრის გაძარცვის ამბავი**, აგრეთვე სია იმ ძვირფას ნივთებისა, რომელიც ქურდებმა წაიღეს. რუსეთის საარქეოლოგო საზოგადოება აფრთხილებს საზღვარ-გარეთელ მუზეებს არ შეიძინონ ეს მოპარული ნივთები.

◆ **ოზურგეთი.** სენატს გაურჩევია ერთი საყურადღებო საკითხი. როგორც ვიცით, სოფლის მცხოვრებნი ხშირად სცდილობდნენ სოფლიდან გადასახლებას და ქალაქს „მეშჩანებად“ ჩარიცხვას. ეს ლტოლვილება დიდი იყო განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრაში. „მეშჩანებად“ ჩარიცხვა უფრო გახშირდა ოზურგეთში თვითმმართველობის შემოღების შემდეგ. ძლიერ გამრავლდა სოფლიდან გასულთა რიცხვი. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მაზრის სამმართველოების წინადადებით გუბერნიის სამმართველომ და თავის ნებით და განკარგულებით დაადგინა: გადაეხადოს სოფლიდან გამორიცხულ გლეხებს ყველა გადასახადი და მოეთხოვოთ ყოველივე ბეგარა, ისე, როგორც სოფლათ. ეს განაჩენი „მეშჩანთა“ თხოვნით 1899 წელს განასაჩივრა ოზურგეთის მაშინდელმა მოურავმა თავ. ნ. თავდგირიძემ. სენატს მხოლოდ ეხლა მოუსმენია საჩივარი და დაუდგენია შემდეგი: იმ სოფლის მცხოვრებთ, რომელთაც თავიანთი მიწა საკუთრებად აქვთ შეძენილი, არა თავიანთ ყოფილ მებატონეებისაგან, არამედ კერძო პირებისაგან, არ უნდა გადაიხადონ სოფლის ბეგარა და სოფლის გადასახადები. როგორც ვიცით, გურიაში ასეთი ბევრია, რომელნიც აგერ ათი წელიწადია იხდიან ბეგარა-გადასახადებს. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთ პირთ უნდა დაუბრუნდეთ უსამართლოდ გადახდილი ფული.

◆ ამ რამდენიმე დღის წინად კუკიის სასაფლაოზე გაუსვენებიათ დასაკრძალავად ტფილისის მცხოვრების საცურის 16 წლის ქალი მარიამი. 14 მარტს ექიმებს გაუსინჯავთ და უთქვამთ, მკვდარიაო. სასაფლაოზე ზოგიერთებს უთქვამთ, რომ ქალი ცოცხალიაო. დასაფლავება შეაჩერეს და ეს ათი დღე, გაზეთების სიტყვით, ქალი სასაფლაოსთან ერთ კერძო ოჯახში წევს. გვამი არ იხრწნება, ამ ჟამად ექიმები თვალყურს ადევნებენ.

◆ სასინოდო კონტორის მოხელეთ მიმართეს ეგზარხოსს თხოვნით: ფულით დახმარება აღმოგვიჩინე, რადგან მუშათა გაფიცვის გამო ფასებმა ძლიერ აიწიაო. დახმარებას თხოულობენ სამი თვის ჯამაგირით და გარდა ამისა ყოველ წელს 3000 მანეთი მიეცეთ აღდგომასა და შობას საჩუქრებას დასარიგებლად. ეს თხოვნა ეგზარხოსმა გადასცა სასინოდო კონტორას, რომელიც მოისმენს ხუთშაბათს 31 მარტს.

◆ ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავს წარუდგინეს საერთო მოთხოვნა მათთვის ჯამაგირების მომატების შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულოს დარბაზში გამოკიდებულია სია იმ ყმაწვილ კაცთა, რომელნიც წელს იქმნებიან გაწვეულნი კენჭის ამოსაღებად.

◆ გუშინ ვწერდით, რომ კუკიაში ერთი კაცი ხოლერით გახდა ავადაო. როგორც ექიმთა გამოკვლევიდან აღმოჩნდა, ეს კაცი ხოლერიანი არა ყოფილა.

◆ როგორც „ინვალიდ“-შია გამოცხადებული მუკდენის ბრძოლის დროს დაჭრილა (ჯარშივე დარჩენილა) შტაბს-კაპიტანი თავ. გიორგი ნიკოლოზის ძე სუმბათაშვილი.

◆ პალატის ბრალმდებლის მდივანმა დავით უთნელიშვილმა გამოაცხადა პოლიციის მე-4 ნაწილის ბოქაულს, რომ იმის დედას, ერევნის მოედანზე, ტრამვაის ვაგონში ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მოპარა ქისა 161 მან. 20 კაპ.

◆ 23 მარტს, პოლიციის მე-4 ნაწილში მცხოვრებ ხინაიდა მეგრაბიანცს შეჰპარვიან „ვიქტორიას“ სასტუმროს ნომერში ვიღაც ქურდები და მოუპარავთ ორქოს ნივთები, 43 მან. ღირსებულობისა. პოლიციამ დააპატიმრა ტერენტი ჩიჯავაძე, კარაპეტ არუთინოვი და ამაზასპ ფილოიანცი.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში, ბებუთოვის ქუჩაზედ მცხოვრებ ავეტიკ მაგაკიანცს, 23 მარტს, სახლში შეჰპარვია ვიღაც ბოროტ-განმზრახველი და მოუპარავს სამი პალტო, 100 მან. ღირებული.

◆ სადგურ ყვირილაში ამას წინად დაჭრილი დეპოს უფროსი ვიაჩესლავ ბლოკი 23 მარტს გადაიცვალა ტფილისის ლაზარეთში.

◆ ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარმა მღ. პ. კარბელაშვილმა სასინოდო კონტორის წინაშე დავა აღძრა, რომ ამ ტაძრის გარშემო აშენებული სახლები ეკუთვნის შეურყეველ საბუთების ძალით ანჩისხატის ტაძარს და არა სასინოდო კანტორასო. სასინოდო კონტორა ამ საჩივრის განხილვას გუშინ, 24 მარტს, აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო და შემდეგ ხუთშაბათისთვის გადასდო.

◆ სად. კოვლიარი. 22 მარტს საღამოს 10 საათზე, როცა მე-407 მატარებელს ბოლო ვაგონებს აბამდნენ, ორთქლ-მავალი გადავარდა ვაგონებითურთ და შეიკრა გზა. კაცის თავს უბედურება არაფერი არა ყოფილა.

◆ ისააკ სააკოვმა პოლიციას განუცხადა, კახეთის ქუჩაზედ ამ ორი დღის წინად ჩემი მცირე წლოვანი შვილი ამბო გავიდა და სადღაც გადაიკარგაო.

◆ რიყის ქუჩის სახლის პატრონებმა საერთო განცხადება წარუდგინეს გუშინ ქალაქის მოურავს. სწერენ, ჩვენი სახლები დაგირავებულია ტფილისის საკრედიტო საზოგადოებასა და სათავად-აზნაურო ბანკებში. რადგან უმრავლესობა მობინადრეებისა მეეტლენი და ღარიბი ხალხია, რომელთაც დღევანდელ ცხოვრების პირობების გამო მცირე სამუშაო აქვთ, ფულს ვერ იღებენ და, მაშასადამე, ჩვენც რიგიანად ქირაში ვერ გვისწორდებიან. ამიტომ შუამდგომლობა გაგვიწიეთ აღნიშნულ ბანკების წინაშე, რომ წელს გადასახდელი ფული 5 წლის განმავლობაში გადაგვახდევინონო.

◆ სად. სამტრედია. ღამით, 22 მარტს, დეპოს კანტორის კარები ჩაამტვრიეს ვიღაცებმა, გასტეხეს კასა და გაიტანეს 133 მან. 27 კაპ. ქურდების ვინაობა ვერ აღმოუჩენიათ.

◆ 22 მარტს სადგურ ტფილისში ორთქლმავალი № 204 ლიანდაგს გადასცდა ისრის გატეხის გამო. კაცის თავს უბედურება არა მომხდარა-რა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ იმ შვიდ მძარცველთაგან, გუშინ რომ გაცნობეთ დეპეშით, ექვსი დაიჭირეს გუშინ ნასადილევის მესამე საათზე. ჰომის იქით ყოვილის მხრიდან მოუჭრა გზა ქალაქის პოლიციამ, ყაზახ-რუსებმა და დარაჯებმა. ორი იქვე მიჰკლეს, ორი მძიმედ დასჭრეს და ორიც დანებდნენ. ორა მოკლე ბერდანის თოფი და ორიც დიდი ოფიცრის რევოლვერი ჰქონიათ. 1869 მანეთიდან მხოლოდ ორას რამდენიმე მანათი უნახს. დანარჩენი იქნება მეშვიდე ამხანაგმა წაიღო, რომელიც კვალ-წმინდა მიიმალა.

◆ ამგვარივე გაძარცვა ტყიბულშიც მოხდა. ინჟენერ ალიბეგოვს წაართვეს შვიდას თუმანამდეო. დაწვრილებით ჯერ არაფერი ამბავია.

◆ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, ქუთაისის გუბერნატორის გენერალ-მაიორის სმაგინის ავადმყოფობის გამო იმის თანამდებობის ასრულებას შეუდგა ვიცე-გუბერნატორი კალაჩოვი.

◆ 14 თებერვალს შესაფერ განკარგულების მოუხდენლობისთვის დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან ქუთაისის პოლიცმეისტერი და ბოქაული მახარაძე.

◆ გუშინწინდელს №-ში ჩვენის გაზეთისა იყო გამოცხადებული, სხვათა შორის, რომ 106 მოწაფემ განუცხადა გუბერნატორს სწავლის განგრძობის სურვილიო. ეგ ამბავი მართალი არ გამოდგა. გიმნაზიის მთავრობისათვის 5—6 ყმაწვილს მიუცია ასეთი განცხადება.

◆ სულიერ მამათა მე-45 კრებამ იმერეთის ეპარქიისა ბევრ საგანში გადაუხვია ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ განსაზღვრულ პროგრამას და ისეთი საკითხები წამოაყენა და დავთარიც დაადგინა, რაც გარეშე იყო ამ პროგრამისა.

◆ ქუთაისის დურგლებმაც გამოსცეს თავიანთი სავალდებულო დადგენილება და ეს დადგენილება გაკრულია ქუჩებში.

◆ მარტის თვემ თავისებური სიჰინჰყლე არ მოიშალა და ბოლოს მოიქნია კუდი· ცუდი ამინდები დადგა. აქამდის კი ჩინებული დღეები იყო. ახლა გაწვიმდა, აცივდა...

ტფილისელ ნოქართა კრება

ტფილისელ ნოქართა ერთმა წრემ სთხოვა ნოქართა საზოგადოების გამგეობას, მოიწვიოს საგანგებო საზოგადო-კრება. ეს კრება მოხდა 23 მარტს საბჭოს დარბაზში. კრებას წევრებს გარდა გარეშენიც დაესწრნენ. შეიკრიბა 3000 კაცამდე. წესიერება არაფრით არ დარღვეულა. თავმჯდომარედ აარჩიეს ბ-ნი სოროცკი.

პირველი მუხლი ნოქართა მოთხოვნილებისა შეეხება სამუშაო დროს მოწესრიგებას. ნოქრები თხოულობენ, მუშაობა დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე იქნეს, აქედან ორი საათი უნდა გადაიდოს სასადილოდ, ასე რომ სამუშაო დღე 8 საათზე მეტი არ უნდა იყოს. ბ-ნ აბრამიანმა და სხვებმაც დაასურათეს ნოქართა აუტანელი მდგომარეობა. ჩვენაო,—სთქვეს,—უსულო და უგრძნო არსებებად გადაგვაქციეს და ვაჭრების ჯიბის გასასუქებლად გაგვხადესო. ვმუშაობთ შეუსვენებლად დილის 6—8 საათიდან ღამის 10, 11 და 12 საათამდე. ძილისთვისაც-კი აღარა გვრჩება საკმაო დრო, არ შეგვიძლიან წავიკითხოთ რამე, წავიდეთ თეატრში, გონება განვივითაროთ და სხვა. ცხარედ ილაპარაკა აბრამიანმა და შეკრებილთ ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

ნოქართა საზოგადოების თავმჯდომარემ კ. მ. ადიხანოვმა სთქვა: მეც ტაშს დავუკრავდი ბ-ნ აბრამიანს, რომ დაესახელებინა საშუალება, თუ როგორ განხორციელდეს ეს მოთხოვნილება. კანონში არაფერია აღნიშნული. ერთად-ერთი გზა ნოქრებისა და ვაჭრების აუჩქარებლად შეთანხმებაა. ულტიმატუმის დადება მხოლოდ დამოკიდებულებას გაამწვავებს. მე ვურჩევ კრებას, ბევრს ნუ მოითხოვს. მოაწყოს საქმე ისე, რომ არც ვაჭრობის საქმე შეფერხდეს და ნოქრებსაც ცოტაოდენი თავისუფალი დრო ჰქონდეთ, ზოგი თქვენ უნდა დაუთმოთ, ზოგი ვაჭრებმა დასთმონო...

ილაპარაკეს სხვებმაც. ბოლოს დაადგინეს სამუშაო დროდ დაინიშნოს დღეში 11 საათი (დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე), აქედან ორი საათი სასადილოდ, ასე რომ ნოქრები დღეში 9 იმუშავებენ. აღნიშნული სამუშაო დრო სხვა-და-სხვა დარგში სხვა-და-სხვა ნაირად მოეწყობა, როგორც საქმეს შეეფერება.

მიიღეს აგრეთვე მეოთხე მუხლი. ამ მუხლის ძალით კვირა აუცილებლად ყველამ უნდა იუქმოს. რაც შეეხება დღესასწაულებს, ეს ქართველები თავის სარწმუნოებისამებრ მოიქცევიან, სომხებიც თავისა და სხვა. მეხუთე მუხლით ნოქრები თხოულობენ წელიწადში ერთის თვით დასვენებას. ეს მუხლი მიიღეს იმ ნოქრებისთვის, რომელთაც ერთი წელიწადი მაინც უმსახურნიათ.

ამ დროს გალერეაზე მყოფმა სხვა ნოქრებმა, საზოგადოების არა წევრებმა, მოისურვეს სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ თავმჯდომარემ ნება არ დართო, თანახმად წესდებისა. მაშინ ნოქართა უმრავლესობამ პროტესტი განაცხადა, მოითხოვა ამ საგნებზე შეეწყვიტათ ლაპარაკი, რადგან საზოგადოების წევრნი, ორიოდე კაცი, ვერ გადასწყვეტენ ისეთ საკითხებს, რაც 12 ათას კაცს შეეხებაო. მოითხოვეს ნოქართა საერთო კრების მოხდენა.

როდესაც ხალხი დაწყნარდა, განაგრძეს განხილვა. მე-5 მუხლი მიიღეს ამ რედაქციით: ვისაც ერთს წელზე არა ნაკლები უმსახურნია, ავადმყოფობის დროს ჯამაგირი მიეცემა ერთის თვის განმავლობაში, ხოლო ადგილი შეუნახება 2 თვეს; ვისაც სამი წელი უმსახურნია, 2 თვეს ჯამაგირიც უნდა მიეცეს და ადგილიც უნდა შეუნახოს, ვისაც ხუთი წელი—3 თვეს და სხვა. მე-6 მუხლით ნოქრები თხოულობენ ჯამაგირის მომატებას პროცენტებით. კრებამ არ მიიღო ეს და დაადგინა, მოსთხოვოს ვაჭრებს პირდაპირ ჯამაგირის მომატება. მიღებულ იქნა მე-7 მუხლი, რომელიც შეეხება ვაჭრების მიერ ნოქრებისადმი თავაზიანად მოქცევას. დასასრულ კრებამ დაადგინა, დაავალოს საზოგადოების გამგეობას წინადადება მისცეს ვაჭართა მამასახლისს, მოიწვიოს ვაჭართა საგანგებო კრება, რომელ[illegible] უნდა ამოარჩიოს წარმომადგენლნი ნოქრებთან [illegible]სალაპარაკებლად და შესათანხმებლად. ერთმა [illegible] სთქვა: ვაჭრებთან შეთანხმება არა კმარა, [illegible]ნ დღევანდელი პირობები არ დაგვაკმაყოფილებს. ეს შორს ღდეს [illegible] უოველსავე დონეს გვხარ[illegible] კრების მოსახდენად, მაგრამ პოლიცია ნებას [illegible] გვაძლევს. ჩვენ უნდა შევუერთდეთ მთელის რუ[illegible]ს საზოგადოების საუკეთესო ნაწილს და [illegible] მოვითხოვოთ ძირითადი რეფორმათ და სხვა.. თავმჯდომარემ [illegible] განაცხადა, ამ საგნებზე ლაპარაკი საერთო [illegible]ლობებზე გვექნებაო.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი, 23 მარტი. დღეს საღამოთი აქ ჩამოვიდა გენერალ-გუბერნატორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

რუსეთის ქრონიკა

რკინის გზის მოსამსახურეთა მატერიალური გაუმჯობესება ეხლავე შეუძლებელ საქმედ მიუჩნევია გზათა სამინისტროს. ამ გაუმჯობესებას ყოველ წლიურად მოუნდება 25 მილიონი ზედ-მეტი ხარჯი და რკინის გზებიდან აქამდე ზარალის მეტი არაფერი უნახავს სახელმწიფოსო; ევროპის რუსეთის რკინის გზებს 1904 წელს რვა მილიონის ზარალი მოსვლიათ. („ნ. ვ.“)

ომის შეწყვეტა. ნავთის მსხვილ მწარმოებლებს საზოგადო კრება ჰქონიათ მოსკოვში და გადაუწყვეტიათ—ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ ომი შესწყდეს, თუნდ ვლადივასტოკიცა და სახალინიც დაეკარგოს რუსეთსაო. („ო. ნ.“)

მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოს სხდომები დასრულებულა და შემდეგი რეზოლიუციები მიუღიათ: უნივერსიტეტის ავტონომია, ამორჩეული რექტორი, მოსპობა პოლიციის მოწმობისა სტუდენტის „კეთილ-იმედიანობაზე“ და შემცირება ფორმალურ წესებისა უნივერსიტეტში მიღებისათვის.

რაც შეეხება ეხლანდელ სტუდენტებს, ყველა უნდა დარჩეს ძველ კურსზე; უკანასკნელ სემესტრის სტუდენტებმა ლექციები უნდა მოისმინონ სექტემბრიდან დეკემბრამდე, რის შემდეგაც მათ მიეცემათ უნივერსიტეტის დასრულების მოწმობა.

იმერეთის სამღვდელოების კრება

იმერეთის სამღვდელოების კრება დასრულდა 22 მარტს. ამ კრებაზე შეუდგენიათ „წერილობითი მოხსენება მინისტრთა კომიტეტისადმი“. ეს მოხსენება საყურადღებო მოვლენაა ქართველ სამღვდელოების ცხოვრებაში.

მოხსენება პირველად ყოვლისა აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ სამღვდელოებასა და სამწყსოს შუა ჩვენში დიდი განხეთქილებაა, თან უჩვენებს ამ მოვლენის მიზეზებსაც: სამღვდელოება რომ ახლო იყოს ხალხთან, აუცილებლად იგი ეროვნული უნდა იქნეს, ხალხის ზნე-ჩვეულებასა და ხასიათს შეჩვეული, ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთთან შეერთდა, ქართველ ერმა დაჰკარგა კათალიკოსი, დაჰკარგა ეროვნული ეკკლესია. მართალია, დაბალი სამღვდელოება ჩამომავლობით ქართველია, მაგრამ აღზრდით ქართველობასთან სრულიად არაფერი არა აქვს საერთო: იმ სასწავლებელში, რომელიც ზრდის ჩვენ მომავალ მღვდლებს, ყველაფერს ასწავლიან გარდა ქართულისა.

გარდა ამისა, საქართველოში ეკკლესია გახდა იარაღი პოლიტიკურ ტენდენციისა, გადაიქცა მთავრობის კანცელარიად. ხალხი რასაკვირველია, ამიტომ მტრულად უცქერის სამღვდელოებას. ამას ზედ ემატება ყოვლად უვარგისი წესი სამღვდელოების დაჯილდოვებისა.

ყველა ამის მიხედვით, იმერეთის სამღვდელოებას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია სრული დამოუკიდებლობა ქართულ ეკკლესიისა კათალიკოსის მეთაურობით; კათალიკოსს ირჩევს ადგილობრივ ეპისკოპოსების კრებული მთელის ერის და სამღვდელოების წარმომადგენელებთან ერთად და ამტკიცებს საერთო მთავრობა; სამღვდელო პირთ (მღვდელს, დიაკონს და მედავითნეს) ირჩევს მრევლი; სასკოლო საქმის ძირითადი რეფორმა: უწოდებრივო დაბალი და საშუალო სკოლა სამღვთო სჯულის საერთო კურსით. სამღვდელო კანდიდატებისათვის საგანგებო სღვთის-მეტყველო კურსი ორის წლისა; მაღალ სასწავლებელში—სღვთისმეტყველო ფაკულტეტი; თავისუფლება სიტყვისა, წერისა, კრებისა სამღვდელოებისთვისაც; სასულიერო წოდებას უნდა ჰქონდეს ყველა სამოქალაქო უფლებანი, რომელიც-კი არ ეწინააღმდეგება მწყემსობის იდეას; განთავისუფლება ეკკლესიისა და სამღვდელოებისა პოლიტიკურ მიზნების სამსახურიდან და აგრეთვე ყოველ სამოხელეო და საკანცელარიო მოვალეობისაგან; მოსპობა სამღვდელოების მატერიალურ დამოკიდებულებისა მრევლისაგან და, რადგან საქართველო პოლიტიკურად არ შორდება რუსეთის იმპერიას, სამღვდელოება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მატერიალურად ჯამაგირით.

აქვე მოვიყვანთ სამი დეპეშის ტექსტს. სრულიად სომეხთა კათალიკოსს ეჩმიაძინში: „იმერეთის ეპარქიის მე-45-ის კრების დეპუტატთა კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ქ. ბაქოში დაღუპულთ და დაადგინა—გამოგიცხადოთ თქვენ ულრმესი მადლობა იმ შრომისათვის, რომელიც გასწიეთ სომეხთა და მაჰმადიანთ შორის მომხდარ სისხლის ღვრის დროს“. 2, ამგვარივე დეპეშა გაეგზავნა ტფილისში შეიხ-ულ-ისლამს. 3. გაზეთ „რუსი“-ს რედაქტორს: „საქართველოს სამღვდელოების იმერეთის ეპარქიის კრებამ გადასწყვიტა გულითადი მადლობა გამოუცხადოს თქვენს თანამშრომელს ნ. დ.-ს პირუთვნელ აზრის გამოთქმისათვის ივერიის ეროვნულ ეკკლესიის ძირითად უფლებათა შესახებ და ესურვის ამგვარივე თანაგრძნობა დაუმოწმოს რუსის ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, რომელიც რუსეთის კეთილდღეობას იქ კი არა ხედავს, რომ მონად გაიხადოს ნებაყოფლობით მინდობილი ერი, არამედ მიანიჭოს მას ყოველი კაცობრიული უფლება“.

საზოგადოების საყურადღებოდ

მკითხველთ ახსოვთ, რასაკვირველია, რომ ამ დღეებში, ზემო იმერეთში, დიდი დაბა ჩხარი გადაიწვა. ჩვენს გაზეთში მაშინ აწერილი იყო, რა დიდი უბედურება დაატყდათ თავს ჩხარელებს. სულ 80-მდე კომლი დაზარალებულა, მათგან ბევრს დაწვია ყველაფერი, რაც ებადებოდა; ბევრი უსახლკაროდ და უსახსროდ დარჩენილა, სხვები იმდენად დაზარალებულან, რომ დაუხმარებლად ფეხზე ველარ წამოდგებიან.

რადგან ჩხარში უმთავრესად სომხები ცხოვრებენ, ამიტომ როგორც-კი მოვიდა ტფილისში ამბავი, სომხის საზოგადოებამ მაშინვე შეადგინა დამხმარე კომიტეტი და შეუდგა შემოწირულებათა შეკრებას; ამასთანავე გაგზავნა რწმუნებულები, ადგილობრივ დაზარალებულთა მდგომარეობის გამოსარკვევად. ეს პირნი დაბრუნდნენ ტფილისში და გვიამბეს, რომ დაზარალებულთა და სულ გადამწვართა შორის 36 კომლი ქართველიაო. შემდგარა იქვე კომიტეტი ორის ქართველისა და სამის სომხისაგან, რომელნიც ტფილისის კომიტეტისაგან გამოგზავნილ შემოწირულებას უნაწილებენ ყველა დაზარალებულთ, განურჩევლად ეროვნებისა.

ვაქცევთ ქართველ საზოგადოების ყურადღებას ყველა ამ გარემოებაზე და ვიწვევთ მას ხელი გაუმართოს გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეთ. ზარალი და უბედურება ერთობ დიდია და მძიმე დახმარებაც საჭიროა.

შემოწირულებათა გაგზავნა შეიძლება ქნ. მ. მ. თუმანოვის სახელზე (ბარიატინსკაია, № 8 თუმანოვის სახლი).

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე

ჩვენ, ქართველები, უცხოელ ხალხს უფრო უკეთ ვიცნობთ, ვიდრე ჩვენსას. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში გარეშე ხალხზე მეტი იწერება, ვიდრე შინაურზე. „ბავშვი თუ არა ტირის, კვერს არ დაუკრენო“. ასეა ჩვენი საქმეც. ჩვენ, ქართველობამ, ევრო[illegible] ვიცით ჩვენ სატკივარზე და აკი არც გვაქცევს ვინმე ყურადღებას. შავის ზღვის პირად დასახლებულ ოსმალოდან გადმოსულებს ეფერება მთავრობა და ამ გარემოებას კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამაც მიაქცია ყურადღება. დიაღ, შეაწუხეს და შეაწყნარეს მთავრობას თავიანთი მოძმენი. მაგრამ აბა ვინ მიაქცია ყურადღება „ცნობის ფურცლის“ მე-№ 2766 ნომერში მოთავსებულს ახალ ამბავს: „კავკასიაში გადმოსახლებულ რუსათვის მიწის ნაჭრების საბოლოოდ მისაზომად, მიჯნების ჩასარჩევად და კარ-მიდამოების მისაზომად შუტორ-ნუკრიანში, სიღნაღის მაზრისა, ტოპოგრაფი იგზავნებაო“.

დიაღ, იგზავნება ტოპოგრაფი და უნდა ჩამოართვას ეს მიწები (სახაზინო) ჩვენს გლეხებს და ჩააბაროს რუსებს. მერე იცის კი ვინმემ, რა მიწებია ეს მიწები და ვინ არიან შუტორ-ნუკრიან-მაღაროელები?! მგონი, არავინ. ან ვის რა ეცოდინება, როდესაც თვით შუტორ-ნუკრიანელ-მაღაროელებმაც აღარ იციან, ვინ არიან, ან რითი უნდა იცხოვრონ, ან სად წავიდნენ მაშინ, როდესაც იმათ მიწებს სხვას ჩააბარებენ. მაშ ვისაც ეინტერესება 1000 კომლამდე წუნარ, თავის ოჯახით მცხოვრებ გლეხთა ვითარება, ყური დაგვიგდოს და შეიტყოს მათი მოკლე ისტორია.

ჩვენ არა გვგონია სხვა კიდევ ბევრი იყოს მთელს სახელმწიფოში სიღნაღისთანა უსიცოცხლო და უმერმისო ქალაქი. ქალაქს ზრდას არაფერი არ უწყობს ხელს, პირიქით, მისი ტოპოგრაფიული თუ ეკონომიური მდგომარეობა ადგილობრივ მკვიდრთაც კი სდევნის შინიდან. ერთად-ერთი ვაჭრობა მაზრასთან თან-და-თან ეცემა, რადგან ვაჭრობა მაზრაში, სოფლად გადადის. რაკი თვით ბუნება ქალაქსა არ უწყობდა ხელს ქალაქის გაზრდას, მას მფარველ ბატონ-პატრონთ განეზრახავთ განგებ შეექმნათ გარემოება და უთუოდ გაედიდებინათ ქალაქი. ბევრის ტკბილის სიტყვით და დიდის დაპირებებით და ზოგიც მოტყუებით ორმოციან წლებში სიღნაღს შეუერთეს სოფლები: ნუკრიანი, შუტორი და ნახევარი მაღარო, სულ 1000 კომლამდის. ესენი მოქალაქეობას არ ეწეოდნენ და არც ეწევიან დღესაც, მაგრამ რაკი უთქვამთ, თქვენ გადასახადი ცოტა გექმნებათ როგორც მოქალაქეთ, მიწებიც ისევ თქვენ ხელში დარჩება და თუ როდისმე მოქალაქედ გახდებით, ხომ რა კარგი, თუ არა და მაინც რას აგებთ, „მუჟიკი“-ს მაგივრად „მესჩანინი“ გახდებით. ბევრი გამოჩენილა ურწმუნო თომა, ბევრს უთქვამს მაშინვე უარი ამ პატივზედ, მაგრამ ყური არავის უთხოვებია, ჩამოწერეს სია, ხელიც მოა-

წერეს, ზოგის მაგიერ თავიანთ კაცს მოაწერინეს წინადვე დამზადებულ განაჩენებზე და „მესჩანიკებად“ გაგვხადესო, ამბობენ ახლად მონათლული „მესჩანინები“.

პირველად არა უჭირდათ-რა: მართლაც ხარჯი ცოტა ჰქონდათ, მიწებიც იმათ ხელში იყო და სცხოვრობდნენ უწინდებურად ხვნა-თესვით... მხოლოდ მალე ოცნება სინამდვილედ შეიცვალა და ამათაც მიწებს წამოედავნენ: ან მიწები უნდა დასტოვოთ ან ცალკე ხარჯი გადიხადოთო. აბა მიწებს როგორ დასტოვებდნენ და ამიტომ ხარჯი შეიწერეს. პირველად ეს ხარჯი ბევრი არ იყო, მაგრამ თანდათან გადიდდა და საგრძნობელი გახდა. საგრძნობელი გახდა უფრო მაშინ, როდესაც საუკეთესო ნაჭერი ჩამოართვეს, მალაკნებს მისცეს და დანარჩენი მიწებიც საჯარო ვაჭრობით გასცეს. ამათ მიწა უნდათ ლუკმა-პურის მოსაპოვებლად და აბა რას გაუშვებდნენ ხელიდან, თუმცა ძვირად, მაგრამ მაინც თითონვე ინარჩუნებდნენ ხოლმე ვაჭრობით. ესლა ხალხი მიხვდა, თუ რა საკენკი მიეყრიათ მათთვის „მესჩანინობის“ შესაძენად. გაიგეს, რა ძვირად დაუჯდათ ამ სახელის მიღება, გაიგეს თავიანთი არა სანატრელი გარემოება და დაიწყეს მაშინვე მუდარა: „არ გვინდა თქვენი პატივი და ღირსება, გოხოვთ თქვენი ნაბოძები მოწყალება უკანვე მიიღოთ, აგვხადოთ ყოველივე მოქალაქის უფლება-უპირატესობა და დაგვტოვეთ ჩვენ ისევ გლეხებად, დაგვიბრუნეთ ჩვენ ჩვენი მიწები და სიტყვას „მუჟიკს“ კიდევ თუნდა სხვაც საძრახისი რამ წაუმატეთო“. მაგრამ დაკარგულის დაბრუნება, თუნდაც უვარგისისა, ისეთი ადვილი არა ყოფილა, როგორც ღირსების მიღებისა, თუნდაც საუკეთესო მოწყალება—მოქალაქის სახელისა. აი ეს ოცდაათი წელიწადი ყოველ წლივ თუ არა, ორ წელიწადში ერთხელ მაინც სახლებდნენ ამ თხოვნას, მაგრამ ან სულ არავინ აქცევდა ყურადღებას ან უპასუხებდნენ, თქვენ მოქალაქენი ხართ, მოქალაქეობა გირჩევნიათ და მოქალაქეებს კი მიწები აღარ ეკუთვნისო. „ნეტა რა გვეტყობა მოქალაქეობა, ცხოვრებისა, ხელობისა, სახლის მოწყობილებისა, ზნე-ჩვეულებასა თუ ჩაცმა-დახურვაშიო, აბა ერთი გვნახეთ და დარწმუნდით თქვენის ბედნიერის თვალითო“ მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი!..

აქამდის კიდევ რა უჭირდათ: ამ მიწებს მაინც ესენი იბრუნებდნენ მოიჯარადრისაგან, რაც უნდა დიდი გადასახადი დაედოთ, და ამითი მიდიოდნენ იოლად. თუ ბევრს ვერა, იმდენს მაინც რჩებოდნენ, რომ პურით დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ცოლ-შვილი. ახლა კი ეს ნუგეშიც მოაკლდათ, რადგან ამ მიწებს აძლევენ რუსეთიდან გადმოსახლებულ რუსებს და ათას კომლს, ამ მიწა-წყლით აღზრდილ მეკომურს, რომელთა წინაპრების ძვლებით არის გაპოხიებული ყოველი მტკაველი ამ მიწებისა, უმიწებოთ სტოვებენ და დაღუპვის გზაზე აყენებენ. ნეტა სად არის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომ არ ესარჩლება ამათ?! ნუთუ ეს ათასი კომლი მკვიდრი მკომური ყურადღების ღირსი არ არის? **შორეული.**

წერილები

თელავი (მოსწავლეთა გაფიცვა). დილით ჯერ 8 საათს აკლდა რამდენიმე წუთი, გაისმა ნადიკვარზე „ურა“-ს ძახილი. როგორც აღმოჩნდა, საქალაქო სკოლის მოსწავლეებს ერთად შეკრებილთ გამოეხმოთ სასწავლებლის უფროსი ბ-ნი მაენიკოვი. გადაეცათ ხელთნაწერი ფურცელი, რომელზედაც ეწერა: თელავის სამ-კლასიან სამოქალაქო სკოლის მოსწავლეთა მოთხოვნანი. ყველა საგნების სწავლება სამშობლო ენაზე; რუსული ენის სწავლება როგორც ცალკე საგნისა; სავალდებულო და უფასო სწავლება ყველასათვის; გაფართოვება და შეფერება სამოქალაქო სკოლის პროგრამისა, რომ აქ სწავლა დასრულებულებს დაუბრკოლებლივ შეეძლოთ შესვლა საშუალო სასწავლებლებში; მოისპოს შეზღუდვანი, რომლებითაც ხელმძღვანელობენ სხვა-და-სხვა ეროვნების შვილების მიღების დროს; მოისპოს სავალდებულო რელიგიური წესის შესრულება სასწავლებელში; მოისპოს გამოცდა კლასიდან კლასში გადაყვანისათვის; მიეცეს მოსწავლეს ნება თავისუფლად დაესწროს წარმოდგენებს და საზოგადო ყრილობებს; სასწავლებლის წიგნთ-საცავში უთუოდ იყოს წიგნები, ჟურნალები და გაზეთები რუსულს, ქართულს და სომხურს ენაზე; მიეცეთ ნება მოსწავლეთ იყოლიონ თავიანთი მსაჯულები; გაიხსნას სკოლასთან სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებანი; სავალდებულო იყოს პატივით და ზრდილობით ექცეოდნენ მოსწავლეებს სასწავლებელში მოსამსახურენი; ამ მოთხოვნათა და გაფიცვის გამო არავინ არ იქმნას გამორიცხული.

უთხოვნათ ოტკროსისათვის ახლავე წაეკითხა და თვისი აზრი გამოეთქვა. ბ-ნ მაენნიკოვს ჩაეთვალიერებინა მოთხოვნანი და ეთქვა ყველა ეს ძალიან კარგი და მოსაწონია, ეს ერთი წინწკალია იმ სტიქიონური ზვირთებისა, რომლებმაც პირველად ნევის ნაპირებზედ იჩინეს თავი, მაგრამ... აქ მოსწავლეთ სიტყვა გაეწყვეტინებინათ „ურას“ ძახილით, თან ზრდილობიანად დაეკრათ თავი და წამოსულიყვნენ. გზა და გზა ხან მღეროდნენ, ხან „გაუმარჯოს ჩვენს მოთხოვნათ“ ყვიროდნენ. ამ ამბით შევიდნენ თელავის გალავნის აღმოსავლეთ კარებით და დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის ეზოში გაჩერდნენ. უფროსმა მოსწავლეებმა, რომელთაც გაჰყვებნენ გამგეობის თავმჯდომარე კნ. ერისთავისა და მასწავლებელი ქალი კნ. კახვახიშვილისა, ზრდილობიანად სთხოვეს, მოსწავლე ქალებისათვის კარში გამოსვლის ნება მიეცათ. კნ. ერისთავისამ უთხრათ, რომ ქალებს არა სურთ კარში გამოსვლა, თუმცა გულით თანა გვიგრძნობენო. მცირე მოლაპარაკების შემდეგ მოსწავლეები გაემართნენ სასულიერო სასწავლებლისაკენ, რომელიც ძალიან ახლოა. ალაყაფის კარები დაკეტილი დაჰხვდათ, საიდანაც სჩანდა, რომ მოსწავლეები ეზოში იყვნენ. კარებთან მოვიდა ზედამხედველის თანაშემწე ბ-ნი მამინაიშვილი და ბევრს ეცადა, გაებრუნებინა კარებზედ მიმდგარი მოსწავლეობა, რომელიც უძახოდა ეზოში მდგომთ, გამოდითო. თან შიგნით და გარეთ იძახოდნენ ურას. ასეთმა მოლაპარაკებამ გასტანა თითქმის ერთ საათს. მერე კარები გაიღო და ორივე სასწავლებლის მოსწავლენი შეერთებულნი გაემართნენ ისევ დედათა სასწავლებლისაკენ. აქაც მოსწავლეთ ზრდილობიანმა თხოვნამ გასჭრა, პირობისამებრ გამოვიდნენ მოსწავლე ქალები, ყმაწვილებმა გაიკეთეს ფართო წრე, ჩააყენეს ქალები, გავიდნენ გალავნიდან, გაიარეს დიდი ქუჩა, ზემო ბაზარი და ავიდნენ ღვთაებაში. გზა და გზა სამივე სასწავლებლის მოსწავლენი „ვაშა“-ს და „გაუმარჯოს ჩვენს მოთხოვნათა“ იძახოდნენ და მაღლა იქნევდნენ დაწერილ მოთხოვნათა ქაღალდებს. თან გზა-გზა ურიგებდნენ. მოსწავლე ქალების მოთხოვნანი გარდა ზემორე მოყვანილ მოთხოვნათა 1, 2. 3. 6, 9, 12 და 13 მუხლებისა კიდევ შეიცავს: მოისპოს სწავლება საეკლესიო სლავიანურ ენისა; უფროს კლასელებს მიეცეთ ნება იყოლიონ თვის მსაჯულები; რადგან უმრავლესობა უსახსრობის გამო მოკლებულია სწავლის გაგრძელების საშუალებას სხვა ქალაქებში, მოემატოს ამ სასწავლებელს კლასები; გაიხსნას სასწავლებელთან მოსამზადებელი კლასი; განდევნილ იქმნას სასწავლებლიდან ჯაშუშობა, რასაც დიდი პატივი აქვს აქნობამდის.

სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა მოთხოვნანი: ამ მოთხოვნათა გამო არავინ არ უნდა იქმნას გამორიცხული და არც სახელმწიფო შესაწევარს მოკლებული; სწავლა ყველა საგნებისა დედა ენაზე ქართულად უნდა იყოს; სავალდებულო იყოს რუსულ ენის შესწავლა, როგორც ცალკე საგნისა; სავალდებულო და უფასო იყოს სწავლა ყველასათვის; წირვა-ლოცვაზე სიარული სავალდებულო ნუ იქმნება; შეიცვალოს პროგრამა ისე, რომ დაუბრკოლებლივ და გამოუცდელად შეიძლებოდეს საშუალო სასწავლებელში შესვლა; შემცირდეს გაკვეთილები საღმრთო სჯულისა მოსამზადებელ კლასებში; დაწესდეს ამხანაგთა სამსაჯულო; მოისპოს კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდა; მოისპოს სასწავლებლის გარედ ზედამხედველობა; დაწესებულ იქმნას მოსწავლეთა წიგნთსაცავისათვის შეიძინონ ცენზურისგან ნება დართული რუსული და ქართული წიგნები; გამოწერილ იქმნას რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთები; მოისპოს უსაგნებლო სწავლება ბერძნულ ენისა; შემოღებულ იქმნას სწავლება რომელიმე ახალ ენისა; მოგვეცეს ნება თავისუფლად ვიაროთ თეატრში, საზოგადო ყრილობებზე და ყველგან, სადაც ჩვენი გონება განვითარდება; სუსტი მოსწავლეების მომზადება იყოს უფასოდ; მოისპოს ახლად შემოღებული აკაფისტები; პატივით და თავაზიანად ექცეოდნენ მოსწავლეს უფროსნი.

სიმღერით, „ჩვენს მოთხოვნათა გაუმარჯოს“ ძახილით და მოთხოვნათა გზა-და-გზა დარიგებით მივიდნენ ღვთაებამდის: გადავიდნენ ბახუტოვი ეზოში და დაიჭირეს მწვანე მინდორი. თან დიდ-ძალი ხალხი გაჰყვა ყველა წოდებისა. აქ სიტყვები წარმოსთქვეს ერთმა მოსწავლე ქალმა და ერთმაც ვაჟმა. იქიდან იმავე წესით წამოვიდნენ, გამოიარეს ქვემო ბაზარი და აფთიაქის წინ შედგნენ. გზა-გზა ისევ სიმღერა, ისევ უწყინარი კიჟინა და ბოლოს 12 საათ. დაიშალნენ. ქალები გააცილეს.

ქალაქის თავით ბოლომდე გავლილ-გამოვლილმა მოძრაობამ ისე მშვიდობიანად ჩაიარა, არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. დაშლის დროს გაისმა ხმა „მოდიანო“. ეს თურმე ხელოსანთა და ვაჭართა შეგირდობა-ნოქრობა გამოსულიყო და დუქნები დაკეტეს. გამოსვლის მიზეზი თვით შეგირდობა ნოქრობა არ ყოფილა. ამათაც გაიარ-გამოიარეს და დაიშალნენ. ესენი თხოულობდნენ, რომ დილით 8 სათ. გაეღოთ და საღამოს 8 ს. დაეკეტნათ დუქნები, 21 მარტს საღამოზედ არ დაკეტეს ექვსმა და ამათ ძალათ დააკეტინეს. ძნელი ისაა, ვისაც გული შესტკივა, საქმეში ვერ ჩარეულა, არა დამაბრალონ-რაო, ვინც კიდევ მოვალეა, ის არ ერევა, ვაი თუ სიმართლემ წამძლიოს და მდიდრებს ვაწყენინოო. საქმეში ჩაურევლობა და ამ საქმის მოწესრიგების უყურადღებობა არავისთვის სასარგებლო არ არის და იქნება დიდად საზარალოც იქმნეს. ჯერ მარტო ის ვიცით, რომ შეგირდობა-ნოქრობა მისულა აბრეშუმის სახვევ ქარხანაში, სადაც რამდენიმე წელიწადია დილით 6 საათ. საღამოს 7 და ხან 8 საათ. ამუშავებენ მომეტებულად 10—12 წლ. ქალებს დღეში 10-15 კაპ., დიდებს-კი მეტი ფასი აქვთ. მუშაობენ ყველანი თავიანთ ხარჯზედ, გამოუძახნიათ ქარხნის პატრონი და უთქვამთ, დღეში 8 საათ. მეტს ნუ ამუშავებ და სამუშაო ფასი მოუმატეო. თუ არ შეასრულებ, ჩამოვალთ და მუშა ქალებს თავ-თავის სახლში გავისტუმრებთო. ქარხნის პატრონი დაჰპირებია შესრულებას.

როგორც ყველგან, აქაც მოძრაობას ბევრი გამკიცხავი გაუჩნდა ქალებშიაც და კაცებშიაც.

ნადიკვრელი

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ეს ჩემი წერილი დაბეჭდოთ, რადგან ბევრი მითქმა მოთქმა და ხმები დადის ჩემი სახლის დაწვის გამო და ბრალსა სდებენ გლეხ-კაცებს. აი საქმე როგორ იყო.

ორი კვირის წინად, ჩემს შინ არ ყოფნის დროს, ვიღამაც მოუკიდა ცეცხლი ჩემის სახლის ყავარს. იმავე ღამეს ს. რეხის (ამ სოფელში მე ვდგევარ) გლეხ-კაცებმა ეს გარემოება მაცნობეს. გადმოვედი, ვნახე, რომ დამწვარიყო ყავარი და ბალკონები და ცეცხლი სრულიად მოესპოთ. რაც კი მქონდა სახლში ავეჯი ვერცხლეულობა, ძველი ძვირფასი ქართულ-რუსული ბიბლიოთეკა და ყოველივე სახლის მოწყობილობა უკლებლივ დამახვედრეს სოფლელებმა. ღვთისაგან განაჩენი არა დამკლებია-რა, გარდა იმისა, რომ გატანის დროს სიჩქარის გამო ჭურჭელი დამტვრა, ისიც იმის გამო, რომ ჭურჭლის შკაფი დაკეტილი იყო. ამას, ბატონო რედაქტორო, იმიტომ გწერთ, რომ ბევრმა მითხრა, ვითომ გლეხკაცებმა განგებ გადამიწვეს. თუ ასე ყოფილიყო, ხომ არც ცეცხლს გააქრობდნენ და აღარც არას გადაანარჩუნებდნენ. დიდი უსამართლობა იქნება ჩემის მხრივ გლეხ-კაცების არეულობას მივაწერო ეს ამბავი. ეს მოახდინა ერთმა პირმა და კარგად მოგეხსენებათ—კერძო მტერი ყველას ჰყავს.

ვთხოვ „ივერია“-ს, ეს ჩემი შენიშვნა გადაბეჭდოს.

ს. რეხაში მცხოვრები **ასიკო ერისთავი**

22 მარტი.

II

ბატონო რედაქტორო! „ცნობის ფურცლის“ რამდენსამე ნომერში, „სადაც კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ 2 მარტის სხდომის ანგარიში იყო დაბეჭდილი, იმისთანა სიტყვები და აზრები მომაწერეს, რომელიც მე სრულიად არ მითქვამს და რომელიც, პირიქით, ჩემის მოსაზრებისა და რწმენის წინააღმდეგია. ამიტომ საჭიროდ ვსთვლი საქმის ნამდვილი გარემოების გამოსარკვევად, რამდენიმე სიტყვა მოვახსენო ამ ამბით დაინტერესებულ თქვენ გაზეთის მკითხველებს.

ამ სხდომაზე მოისმინეს ბ-ნ ქალანთარის მოხსენება სოხუმის ოლქსა და შავი ზღვის ნაპირებზე თუთუნის მოყვანის შესახებ. მოხსენება უმთავრესად იმან გამოიწვია, რომ მთავრობამ განკარგულება მოახდინა, აღნიშნულ ადგილებიდან გადასახლებულიყვნენ უცხოელი ქვეშევრდომი იჯარადარნი (ოსმალეთის ქვეშევრდომნი,—სომხები და ბერძნები), რომელნიც დიდი ხანია ზემორე აღნიშნულ ადგილებში თუთუნის მოყვანას მისდევენ. წარმოთქმულ იქნა ის აზრი, რომ მათაც მიანიჭონ სამთა-მადნო მრეწველთათვის დაწესებული კანონი, ე. ი. კერძო მემამულეთაგან მიწების იჯარით აღების უფლება.

ამ სხდომაზე არა ყოფილა აღძრული არავითარი საკითხი იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ადგილებზე ვინმე დაესახლებიათ, არა თუ უცხოელი, არამედ არც რუსეთის ქვეშევრდომები. მე მხოლოდ გადმოსახლებულ რუსებს შევეხე, რომელნიც არა სახაზინო ადგილებში სახლობენ, და ვსთქვი, რომ ისინი ჩვენი ქვეყნისათვის უსარგებლონი არიან, ვინაიდან ვერც ადგილობრივ ჰავას და ვერც აქაურ კულტურას ვერ ეგუებიან-მეთქი.

ამით მე მინდოდა დამემტკიცებინა უსაფუძვლობა მთავრობის იმ შეხედულობისა, რომლის ძალითაც ადგილობრივ მკვიდრთ წართმეული აქვთ უფლება შავი ზღვის ნაპირებად მდებარე თავისუფალ სახაზინო ადგილებზე დასახლებისა. ეს უფლება მარტო რუსეთიდან გადმოსახლებულ რუსებსა აქვთ მინიჭებული.

ამ სახით, თუ უცხოელი იჯარადარნი გადაასახლეს, სანამ ეს განკარგულება და ეს მდგომარეობა ძალაში იქნება, აღნიშნული ადგილები დაუმუშავებლად დარჩება. 2 მარტის სხდომაზე ვიღაც „ვარიაგებზე“ და გადმოსახლებულებზე კი არა ყოფილა ლაპარაკი, არამედ მხოლოდ იჯარადარ სომხებზე, რომელნიც კერძო მემამულეების ადგილებს მუშაობენ, ხოლო „იჯარადრებისა“ და „გადმოსახლებულების“ („პერესელენცების“) ერთმანეთში არევა არ შეიძლება, მათ შორის დიდი განსხვავებაა. რაიცა ბ-ნმა გ-მა, რომელიც საზოგადოებრივ საკითხების გამორკვევას კისრულობს, კარგად უნდა იცოდეს. გადმოსახლებული რუსები სახაზინო მიწებზე ისე ესახლებიან, როგორც თავის საკუთარ მიწებზე, იჯარადარნი კი კერძო ადგილებს მუშაობენ და ამისთვის იჯარის ფასს იხდიან.

ამ სახით ბ-ნმა გ-მა სრულიად დაამახინჯა ჩემ მიერ ნათქვამი აზრი, რომლითაც მე ვიცავდი იჯარადრებს, როგორც პატიოსან მუშაკებს, რომელნიც თავის მდგომარეობით არავის არავითარ ვნებას არ აყენებენ დღეს და არც შემდეგში მიაყენებენ, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ როდისმე მთავრობამ ადგილობრივ მკვიდრთ უფლება მიანიჭა და აღნიშნულ ადგილებზე დასახლა.

ამით მინდოდა გამეთავებინა ჩემი წერილი, მაგრამ „ცნობის-ფურცლის“ № 2767.-ში ქ. ქავთარაძე უსაზღვრო კიცხვით მიხსენიებს რაღაც შეურაცხყოფილ სიტყვებისათვის, რომელიც ვითომ მე გეთქვას 2 მარტის სხდომაზე სოხუმის ოლქის მცხოვრებთა შესახებ. მე არ ვიცი, საიდან შეთხზა ბ-ნმა ქავთარაძემ ეს საოცარი ამბავი და რა საფუძვლით მიაკერა სოხუმის ოლქის მცხოვრებთ გურულები (ეტყობა, თავისი ქვეყნის გეოგრაფია არა სცოდნია), მაგრამ, ვატყობ, ბ-ნ ქავთარაძის ერთად ერთი მიზანი უნდა იყოს ის, რომ ცილი დამწამოს. ცილის წამების მე არ მეშინია, რადგან სვინდისი წმინდა მაქვს; ხოლო სოხუმის ოლქის მცხოვრებნი მე უკედ მიცნობენ, ვიდრე ბ-ნს ქავთარაძეს, და კარგად იციან, რომ არასოდეს არ ვიტყოდი იმ საოცარ სიტყვებს, რომელიც ბ-ნს ქავთარაძეს მოჰყავს თავის წერილში. ბ-ნი ქავთარაძე ან არ ბრძანებულა სხდომაზე ან, თუ ბრძანებულა, ჩემი სიტყვები ვერ გაუგია და საკუთარ ფანტაზიის ნაყოფი გამოუხატავს, ამიტომ ვურჩევ, მიბრძანდეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში და გადაიკითხოს 2 მარტის სხდომის ანგარიში, რომელიც უეჭველად ვრცლად იქნება დაწერილი.

2 მარტის სხდომაზე ნათქვამი ჩემი აზრი და სიტყვები საკმაოდ ვრცლად არის მოყვანილი გაზეთ „Тифлис. Лист.“-ის № 41-ში, და თუ ოფიციალურ ანგარიშის ნახვა დაეზარება, იქიდანაც დარწმუნდებიან „ცნობ.-ფურცლისა“ და „ივერიის“ რედაქციები, რომ მე ის არ მითქვამს რაც ამ გაზეთების თანამშრომლებმა და რეპორტერებმა მომაწერეს.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი

თავ. პ. შერვაშიძე

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა საგენტოსაგან“

23 მარტი

ტოკიო. თამბაქოს მონოპოლიამ პირველ წელს 27 მილიონი იენი მოიტანა, 7 მილიონით მეტი იმაზე, რაც ხარჯთ-აღრიცხვაში იყო აღნიშნული.

მოსკოვი, 23 მარტი. პიროგოვის სიეზდმა გადასწყვიტა, დეზინფექციას არ შეიძლება საზოგადო სავალდებულო ფორმა მიეცესო. რადგანაც შესაძლებელია შორეულ აღმოსავლეთში ხოლერა გადვიდეს, ამ [illegible] სიეზდის აზრით, საჭიროა ფართო ბრძოლა სენთან, რა მიზნითაც უნდა თავისუფლად გავრცელდეს ცნობები, ფურცლები, გაიმართოს ბჭობა და [illegible] რუსულსა და ადგილობრივ ენებზე. [illegible] სიეზდი ხვალ დაიხურება.

ვაშინგტონი, 24 მარტი. გერმანიის ელჩმა, თანახმად ბერლინიდან მოსულ ინსტრუქციებისა, წარადგინა სამხედრო სამინისტროში მემორანდუმი, რომლითაც ის აცხადებს, გერმანია მომხრეა, როგორც მაროკოში, ისე შორე აღმოსავლეთში ყველასთვის ღია იყვეს კარი, დაცულ იქნან „სტატუსკვო“ და არსებული სავაჭრო დამოკიდებულებანი. სტატს-სეკრეტარმა რუზველტს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიაც გერმანია საფრანგეთს არ იხსენიებს და შეერთებულ შტატებს სთხოვს, აზრი გამოსთქვან აღძრულ საკითხზე.

პარიზი, 24 მარტი (ჰავასი)) მეფე ედუარდი კალეში გადმოვიდა, დღის 5 საათზე მივა პიერფიტში, პარიზთან, საცა ლუბეს შეხვდება.—აქ ღამით პოლიციამ რამდენიმე გაჩხრეკა მოახდინა, რასაც აღმოჩენილ შეთქმულებასთან კავშირი აქვს. „ტან“-ის სიტყვით, მდგომარეობა სერიოზულია; ეხლახან კაპიტან ტამურინისაგან წართმეული 500 მუნდირი ქვეითა ჯარისა, თურმე ახალშენებისთვის როდი ყოფილა დანიშნული. პიუტოს განაპირა ადგილებში ცრუ მეძონძეს მაიერს 8 ათასი სათოფე პატრონა წაართვეს. იციან, სად ინახება თოფები. ტამურინი და მაიერი დაატუსაღეს. კიდევ დაიჭერენ ვინმე-ვინმეს. პოლიცია ჰფიქრობს, ალბათ ეს ისეთივე სამხედრო შეთქმულებაა, როგორიც 1812 წ. მოახდინა გენ. მალემ იმპერიის ძირს ჩამოსაგდებათ.

24 მარტი

პეტერბურგი, 24 მარტი. გენ.-ლეიტენანტი სოლლოგუბი, რომელიც სამხედრო მინისტრის განკარგულებაში იყო, დანიშნულია მანჯურიაში მომქმედ ჯარების მთავარ-სარდლის განკარგულებაში.

პეტერბურგი, 24 მარტი. გენ. ხარკევიჩის დეპეშა მთავარ შტაბს 24 მარტის თარიღით. „ჩვენის ჯარის ფრონტის წინ მტრის რაზმები შევამჩნიეთ მანდარინის დიდსა და ჩანტუფუს მიმავალ გზებზე. კორეის საზღვრებთან მაიმაკოში, 50 ვერსტის მანძილზე კიდიჩიოდან ჩვენს რაზმს საქმე ჰქონდა იაპონიისასთან. მტერი გაძევებულ იქნა ორ პოზიციიდან სროლითა და ყაზახების იერიშით.

რომი, 23 მარტი. გამოაქვეყნეს პროგრამა, რომელსაც საერთაშორისო კონფერენციას წარუდგენენ განსახილველად. ეს კონფერენცია შესდგეს უნდა განზრახულ სამიწად-მოქმედო საერთაშორისო ინსტიტუტის გამო. სხვათა შორის შემდეგი ფუნქცია ექნება ინსტიტუტს: პერიოდული გამოქვეყნება ცნობებისა სამიწად-მოქმედო პროდუქტებისა და სამუშაო ბაზრის შესახებ, წაქეზება სამეურნეო კოოპერაციისადმი, დაზღვევა სამიწად-მოქმედო კრედიტისა და ზომების მიღება ყველა ქვეყნების საერთო ინტერესების დასაცველად.

მარსელი, 23 მარტი. შუადღისას გადმოვიდა ნაპირზე ინგლისის დედოფალი.

კალკუტა, 23 მარტი. დარსუალაში მიწის ძვრამ სულ-ერთიანად გაანადგურა ყველა შენობები და ნახარად აქცია ისინი. მოკლულია რამდენიმე ევროპიელი და ბევრი ადგილობრივი მკვიდრი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

24 მარტი

პეტერბურგი. კომანდირი მეორე საგვარდიო საკავალერიო დივიზიის პირველ ბრიგადისა, გენ.-ადიუტანტი დიდი მთავარი დიმიტრი კონსტანტინეს ძე, რომელიც ჩარიცხული იყო გვარდიათა კავალერიაში და მთავარი მმართველი იყო სახელმწიფო ცხენის მოვლა-მოშენების საქმისა, დათხოვნილ იქნა პირველ ბრიგადის კომანდირის თანამდებობისაგან. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, უცხოეთის გაზეთებში შენიშვნები გამოჩნდა, ვითომც ჩვენ საგანგებო კომისია დაგვეარსებინოს იმ საკითხის გადასაწყვეტათ, განვაგრძოთ თუ შევწყვიტოთ ომი. ნამდვილი სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ ეს ხმები ყოვლად საფუძველს არიან მოკლებული. მართალია, კომისია მოიწვიეს, მაგრამ მას მინდობილი ჰქონდა გამოერკვია, რა მდგომარეობაშია ომისთვის საჭირო საშუალებანი და განეხილა საკითხი სხვა-და-სხვა საჭირო საგნების შორეულ-აღმოსავლეთში გადაზიდვის შესახებ. საქმის თანამედროვე მდგომარეობა, მიუხედავად ჩვენის რამდენიმე დამარცხებისა, არავითარ საბუთს არ იძლევა ითქვას, შეუძლებელია ჩვენთვის ომის გაგრძელება და საჭირო იაპონიასთან ზავის ჩამოგდებაო. ჩვენთვის საჭიროა მტკიცე და შეურყეველი ზავი და ზემოხსენებულის კომისიის დაარსება, რომელმაც უკვე დაასრულა თავისი მოქმედება, ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ ჩვენს მთავრობას ეს აქვს განზრახვათ და არა ის, რაც უცხოელ პრესსას სურს მოახვიოს მას თავზე.—22 მარტს სხდომა ჰქონდა უწმინდეს სინოდს, რომელზედაც გადაწყდა საბოლოოთ საკითხი რუსეთში საპატრიარქოს დაარსების შესახებ; აქვე გადაწყდა მოუწოდონ სრულიად რუსეთის სასულიერო კრებულს პატრიარქის ამოსარჩევად. სინოდის დადგენილებას წარუდგენენ ხელმწიფეს. ჰფიქრობენ საკრებულო მოსკოვში მოიწვიონ. პატრიარქის ადგილზე მახლობელ კანდიდატათ ითვლება ისეთი სასულიერო პირი, რომელსაც მთავარ-მწყემსის დიდი ადგილი უჭირავს სატახტო ქალაქში; ამიტომ პატრიარქის კვერთხი, ალბათ, პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტ ანტონის ჩაბარდება. უწმინდესი სინოდი პატრიარქთან სათათბირო ორგანოდ გადაკეთდება. უწმინდეს სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობა გაუქმდება. ხელმწიფესთვის მოხსენების წარდგენის ნება პატრიარქს მიენიჭება.

ბერლინი, 23 მარტი. გერმანიის მთავრობამ სამართლიანად სცნო ინგლისის ლორდთა პალატაში აღძრული შეკითხვა იმის შესახებ, რომ გამოაძევა ინგლისის ვაჭრობა მარშალის კუნძულებიდან გერმანიის სავაჭრო მონოპოლიამ, ისეთმა ფირმამ, რომელსაც პრეროგატივა აქვს მთავრობისა და აღთქმა დასდო, ზომებს მივიღებო; ეს კი იმას ამტკიცებს, რომ გერმანიას არა სურს გააფუჭოს ინგლისთან დამოკიდებულება.

ვენა. გრძელ მოლაპარაკების შემდეგ სერბიამ იშოვნა სესხათ 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი საფრანგეთის, ავსტრიის და გერმანიის ბანკების სინდიკატთან. მან სიტყვა დასდო ზარბაზნებს საფრანგეთს შევუკვეთ, საომარ სურსათს გერმანიას და ვაგონებს და რელსებს-კი ავსტრიასო.

ვენა. ალბათ მაკედონიის ფინანსების მართვა გამგეობა, თანახმად პორტის სურვილისა, ოტომანის ბანკის ხელში დარჩება, მაგრამ შემოღებულ იქნება ევროპის კონტროლი.

მადრიდი. კადიქსისა და სევილის პროვინციებში საშინელი შიმშილი მძვინვარებს. მთავრობა ზომებს იღებს.

სამარა. ღამით სასაკიე მაღაზიაში გუბერნატორის ბინის ქვეშ მოჰკლეს მემაღაზიე დოთური. მაღაზია გაძარცვეს.

კრემენჩუგი. აკადემიურ წლის დასაწყისს იხსნება აქ კომერციული სასწავლებელი.

ვარშავა. „ვარშავის დნევნიკ“-ი იუწყება, პრაგის საავადმყოფოში გოროდვოი სარაპის მოკვლის განმზრახველი დაიჭირეს.—ამას წინად დაჭრილი ბოქაული რასტეგაევი მორჩა და სამსახურის საქმის ასრულებას შეუდგა, მაგრამ ჭრილობას გავლენა ექონია ტვინზე, რამაც სულით ავადმყოფი გახადა ბოქაული. უკანასკნელი სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში მოათავსეს.

პეტერბურგის ბირჟა 22 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84⅜
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	380
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	301
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	268½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	217

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი.

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვამცირებ ცუდ სუნს. გ. მ. ხოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—2

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა, და წამლითით 1 მანათიდან 3-მდე.

ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის

„მზეთას“

გამგეობა და სალიკვიდაციო კომისია აცხადებენ პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ პაის ჩეკების გაცემა ბანკიდან ფულის მისაღებად, განაწილების თანახმად, მოხდება ამხანაგობის კანტორაში ველიამინოვის ქუჩაზე ქ-ნ ხანკალამოვის სახლში, ყოველ დღე 22 მარტიდან 15 აპრილამდე, 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის. ჩეკებს მისცემენ მოხოვნელი განცხადების შემდეგ, მეორე დღეს. იქვე იყიდება რკინის კასსა და კანტორის ხელსაწყო. (3—1 22—1

Доз. ценз. Тифлисъ 24 Марта 1905 г.
Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.